# პასუხია ჯანსაღი კერძო ინიციატივა

ეკონომიკური სტრატეგია
კერძო-საჯარო დიალოგი
დროული უკუკავშირი
მოგების გადასახადის რეფორმა
მოქნილი სარეგულაციო გარემო

ყდის დიზაინი ლევან ამაშუკელი

## შემაჯამებელი ანგარიში 2015

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

წევრების გაერთიანებით,

ხელისუფლებასთან,
საერთაშორისო და
ადგილობრივ პარტნიორებთან
მჭიდრო თანამშრომლობით

**ვაუმჯობესებთ ბიზნესგარემოს**


04 მოგესალმებით, ძვირფასო მკითხველო:
გიორგი ჭირაქაძე
სოსო ფხაკაძე
ლაშა პაპაშვილი

08 მოკლედ ჩვენზე:
სამეთვალყურეო საბჭო, სამეურვეო საბჭო, კომიტეტები,
აღმასრულებელი გუნდი
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია წარმოდგენილია
მოკლედ ჩვენზე: საყურადღებო სტატისტიკა

10 საკომიტეტო მუშაობა

12 ორგანიზაციის განვითარება 2015 წელს
ირაკლი ასლანიშვილი

16 ჩვენი პარტნიორები საქართველოში
და მსოფლიოში
ირინა კვახაძე

20 მონაწილეობა  საკანონმდებლო პროცესში
ნიკა ნანუაშვილი

24 საგადასახადო კანონმდებლობა და
გადასახადების ადმინისტრირება
შოთა კომლაძე

28 დარგობრივი მრავალფეროვნება
ნანა ცერცვაძე

30 საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ახალი მედიასტრატეგია
მარიკა სპარსიაშვილი

34 დავების განმხილველი ცენტრი -
თანამედროვე არბიტრაჟის სტანდარტი
მაკა ნაჭყებია

36 წევრი კომპანიები



**გიორგი ჭირაქაძე, პრეზიდენტი**
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

მოგესალმებით ძვირფასო წევრებო, პარტნიორი ორგანიზაციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებო. 2015 წელი ნელ-ნელა იწურება – საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ კი არსებობის მეშვიდე წლის ათვლა დაიწყო. ჩვენი არსებობის თითოეული წელი დატვირთული და წინასგან გამორჩეული, ხშირად რადიკალურად განსხვავებულიც კი იყო; ორგანიზაცია სწრაფად ცვალებად გარემოში ინარჩუნებდა სიმყარეს, მეტიც – უწყვეტად ვითარდებოდა. ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ღრმად გააზრებული, მკაფიო ხედვა, თუ რა მისიას ასრულებს ორგანიზაცია, რა ღირებულებების მატარებელია და რა ფუნქციები აკისრია. ამ ხედვის ჩამოყალიბებასა და მის განხორციელებაში მონაწილეობისთვის მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ წევრს, სამეთვალყურეო და სამეურვეო საბჭოების წევრებს, კომიტეტების თავმჯდომარეებსა და აღმასრულებელ გუნდს.

უკვე მეორე წელია, რაც საქართველოს ბიზნეს ასოციაცია წელიწადს აჯამებს სპეციალურ გამოცემაში. გადავწყვიტეთ, რომ ეს სივრცეც ჩვენი წევრი კომპანიების ინტერესების მხარდაჭერისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ საკითხებზე სასაუბროდ გამოვიყენოთ. ამ გამოცემაში ჩვენი გუნდი საუბრობს ყველა რეფორმაზე, საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელზეც 2015 წელს ვიმუშავეთ, მათ საჭიროებაზე, ეკონომიკურ ეფექტზე; საჯარო და კერძო დიალოგზე, მის შედეგებზე და გაუმჯობესების შესაძლებლობებზე.

2015 წელი ნაყოფიერი იყო ორგანიზაციის განვითარების თვალსაზრისითაც, ჩამოყალიბდა ახალი მიმართულებები, რომლებიც ესადაგება ორგანიზაციის გამოწვევებს და წევრების საჭიროებებს. მათზე უფრო ვრცლად საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ირაკლი ასლანიშვილი გესაუბრებათ.

2015 წლის ოქტომბერს, ასევე, ჩატარდა წევრთა საერთო რიგით მეოთხე კრება, რომელზეც წევრებმა აირჩიეს ასოციაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები; ასევე, დაამტკიცეს სამეურვეო საბჭოს წევრების განახლებული შემადგენლობა. კიდევ ერთხელ, უკვე ამ გამოცემის გვერდებიდან გიხდით მადლობას გამოცხადებული ნდობისთვის და პრეზიდენტის მანდატის მონიჭებისთვის. ამ არჩევნების შედეგად, ჩვენი გუნდისათვის დაიწყო გამორჩეულად საპასუხისმგებლო პერიოდი. ყოველწლიურად რთულდება გამოწვევა, წარმოადგენდე საქართველოს ბიზნეს ასოციაციას, ორგანიზაციას, რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო მაღალ სტანდარტებს ამკვიდრებს, გარემოს მოთხოვნებიც რთულდება და თქვენი, წევრი კომპანიის მოლოდინებიც იზრდება. ჩვენთვის ეს სასიხარულო ტენდენციაა, რადგან ეს ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე მეტყველებს. განვითარება კი არასდროს არის მარტივი და უმტკივნეულო პროცესი.

სულ რამდენიმე დღეში, ახალი 2016 წელი დაიწყება. ქვეყანაში, რეგიონში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, წინ მოვლენებით დატვირთული, ტურბულენტური პერიოდი გველის. ამ პერიოდში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება ორგანიზაციის სიმყარე, მოქნილობა და მოვლენებზე სწრაფად რეაგირების უნარი. ღრმად მწამს, რომ ამ 7 წლის მანძილზე ჩვენ ჩამოვყალიბდით ისეთ ორგანიზმად, რომელსაც შეუძლია არათუ გამოწვევების გადალახვა, არამედ გაზრდა და ახალ, მორიგ ეტაპებზე გადასვლაც.

ყველა ჩვენგანს ვუსურვებ რომ წარმატებით და ნაყოფიერად დაგვესრულებინოს ეს მიმავალი წელი. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია კი კვლავაც, წევრების გაერთიანებით, ხელისუფლებასთან, პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მუდმივად იზრუნებს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე.

პატივისცემით,







**სოსო ფხაკაძე, პირველი ვიცე-პრეზიდენტი**
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ძვირფასო მკითხველებო, სიამოვნებით წარმოგიდგენთ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის 2015 წლის შემაჯამებელ ანგარიშს. 7 წლის წინ, 2009 წელს საქართველოში მოქმედმა 9 მსხვილმა კომპანიამ გადავწყვიტეთ, შეგვექმნა გაერთიანება, რომლის მთავარი მიზანიც იქნებოდა კერძო სექტორის ინტერესების დაცვა, ხელისუფლებასთან ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ, პრობლემურ საკითხებზე თუ შესაძლებლობებზე საუბარი. დღეს საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, პირდაპირი წევრი კომპანიებისა და ბიზნესჯგუფების სახით, 200-მდე მსხვილი კომპანიის ინტერესს იცავს. ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: კერძო სექტორისთვის უფრო და უფრო ცხადი ხდება, რამდენად მნიშვნელოვანია საერთო პლატფორმიდან საუბარი ბიზნესისთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არის სწორედ ის პლატფორმა, რომელსაც შეუძლია სწორად წარმართოს დიალოგი ხელისუფლებასთან.

როდესაც ვფიქრობ, რა არის საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ყველაზე დიდი მიღწევა, სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ჩვენი ყველაზე დიდი შედეგია საჯარო-კერძო დიალოგის სტაბილური არხის შექმნა. ეს არხი ყოველწლიურად იხვეწება და ძლიერდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია ვითარდება და ეფექტურია მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებებისა. ჩვენი ორგანიზაციის ამგვარი განვითარება და მასთან ერთად კომუნიკაციის ამ ხიდის დახვეწა-გაძლიერება არამხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მომტანია. კერძო-საჯარო დიალოგი კრიტიკულად აუცილებელია დემოკრატიული პროცესებისთვის. არ გადავაჭარბებ, თუ სიამაყით ვიტყვი, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციას ამ დიალოგის წარმართვაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ამისთვის კი მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს, წევრ კომპანიებს, ჩვენი მმართველობითი საბჭოების წევრებს, აღმასრულებელ გუნდს, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ახალი წელი გვიახლოვდება, ვისარგებლებ შემთხვევით და ჩვენი გამოცემის გვერდიდან წინასწარ მოგილოცავთ ახალი წლის დადგომას – ახალი შესაძლებლობების მოახლოვებას.

პატივისცემით,



**ლაშა პაპაშვილი, ვიცე პრეზიდენტი**
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

მოგესალმებით, ძვირფასო მკითხველებო. მოახლოვდა 2015 წლის დასასრული და ჩვენც, როგორც ორგანიზაციათა უმრავლესობა, ამ დროს ვაჯამებთ გასულ წელიწადს, ვაანალიზებთ განვლილ გზას და სამომავლო გეგმებსაც ვსახავთ.

2015 წელი დატვირთული გამოდგა საქართველოს ბიზნეს ასოციაციისთვის, ჩვენმა ორგანიზაციამ ახალ მიმართულებებს ჩაუყარა საფუძველი: გაძლიერდა კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოები; ასოციაციამ პარტნიორი საერთაშორისო ბიზნესგაერთიანებების ქსელიც გააფართოვა. ეს ასოციაციის ლოგიკური განვითარებაა. ჩვენს ორგანიზაციაში არსებული თითოეული მიმართულება ერთი ცენტრალური მიზნის გარშემო იყრის თავს: დავიცვათ ჩვენი წევრი კომპანიების ლეგიტიმური ინტერესები და გავაუმჯობესოთ ბიზნესგარემო საქართველოში. ამ იდეით დაარსდა ასოციაცია 7 წლის წინ და მომავალშიც ეს იდეა იქნება ჩვენი თითოეული ნაბიჯის, გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი.

დღეს, როდესაც ქვეყანა ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას როგორც რეგიონული, ისე – შიდა ფაქტორების გამო, კიდევ უფრო მწვავედ დგება კერძო სექტორის ჯანსაღი მხარდაჭერის საჭიროება. სხვადასხვა დროს ამ მხარდაჭერაში სხვადასხვა რამ იგულისხმება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს შემაჯამებელ ჟურნალში გამოვყო ორი მთავარი საკითხი, რომლებიც დღეს ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ბიზნესგარემოზე და რომლებსაც პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს როგორც ასოციაციის, ისე – აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების 2016 წლის დღის წესრიგში.

პირველ რიგში, საკანონმდებლო ინიციატივებზე ვისაუბრებ. ევროკავშირთან დაახლოების ეტაპზე მრავალი ცვლილება შევა ჩვენს საკანონმდებლო და მარეგულირებელ ბაზაში. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილებები მორგებული იყოს საქართველოს თავისებურებებზე. გარდა ამისა, კანონმდებლობაში ცვლილების შეტანამდე სიღრმისეულად უნდა გაანალიზდეს ცვლილების ეკონომიკური ეფექტი. ეს კი წარმოუდგენელია კერძო სექტორთან დიალოგის გარეშე.

მეორე საკითხი კი ეფექტური მმართველობაა. ფუჭი იქნება მთავრობის ნებისმიერი კარგი წამოწყება ან გადაწყვეტილება, თუ მისი განხორციელების უნარი არ შესწევთ სახელისუფლებო იერარქიის ერთეულებს. სახელმწიფო სამსახურებიდან დროული უკუკავშირი ჩვენს მიერ წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებზე გადამწყვეტია ბიზნესისთვის.

დღეს ორივე საკითხი აქტუალურია კერძო სექტორისთვის. სწორედ ამიტომ 2016 წელს ეს იქნება საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის მთავარი თემები.

გილოცავთ დამდეგ წელიწადს, ჩვენი ძალისხმევა ნაყოფიერი ყოფილიყოს!

პატივისცემით,







## სამეთვალყურეო საბჭო:

**ჭირაქაძე გიორგი** *სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*
საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი
„იუ ჯი თი“

**ფხაკაძე სოსო**
საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პირველი ვიცეპრეზიდენტი
„ვისოლი“

**პაპაშვილი ლაშა**
საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი
„რედიქსი“

**ბახტაძე მამუკა**
„საქართველოს რკინიგზა“

**გეგენავა არჩილ**
„ფუდმარტი“

**გეგეჭკორი გიორგი**
„რაკია“

**დევაძე გიორგი**
„სან პეტროლიუმ ჯორჯია“

**კვარაცხელია გიორგი**
„ლილო მოლი“

**კიკვაძე ზაზა**
„IDS ბორჯომი საქართველო“

**კილაძე დავით**
„ჯიპისი“

**კონცელიძე არჩილ**
„ვი-თი-ბი ბანკი“

**კურცხალია გიორგი**
„მაგისტილი“

**ტყეშელაშვილი გიორგი**
„მობიტელი“

## კომიტეტები:

საგადასახადო-საბაჟო კომიტეტი, თავმჯდომარე **ზურაბ ლალაზაშვილი** („ბი დი ო“)

საფინანსო კომიტეტი, თავმჯდომარე **ვახტანგ ბუცხრიკიძე** („თიბისი ბანკი“)
თავმჯდომარის მოადგილე **ლაშა ბზარაშვილი** („4 ფინანსი“)

საკანონმდებლო ბაზის განვითარების კომიტეტი, თავმჯდომარე **ლაშა ნოდია** („ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“)

სოფლის მეურნეობის განვითარების კომიტეტი, თავმჯდომარე **გიორგი მარგველაშვილი** („თბილღვინო“)

ენერგეტიკის კომიტეტი, თავმჯდომარე **ზურაბ გელენიძე** („საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“)

ტურიზმის განვითარების კომიტეტი, თავმჯდომარე **გიორგი მარრი** („სილქროუდ ჯგუფი“)

## სამეურვეო საბჭო:

**ბეჟუაშვილი დავითი**
„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“

**გილაური ირაკლი**
„საქართველოს ბანკი“

**გურგენიძე ვლადიმერ**
„ლიბერთი ბანკი“

**დარჩიაშვილი გოჩა**
„ჯიდი ჯგუფი“

**იაკობაშვილი დავით**
„პეტროკას ენერჯი გრუპი“

**კოხოძე თემურ**
„თეგეტა მოტორსი“

**კურტანიძე პაატა**
„ავერსი“

**მაქაცარია ხვიჩა**
„კავკასუს ონლაინი“

**ნიშნიანიძე ზაზა**
„შარმტრეიდინგი“

**ოქრიაშვილი კახაბერ**
„პე ეს პე“

**პაპაშვილი ლაშა**
„რედიქსი“

**რამიშვილი გიორგი**
„სილქ როუდ ჯგუფი“

**სომხიშვილი თამაზ**
„აიდეკო“

**ფიფია რომან**
„აზოტი“

**ფხაკაძე სოსო**
„ვისოლი“

**ღამბაშიძე გიორგი**
„ჯეოსპირტპრომი“

**ჭირაქაძე გიორგი**
„იუ ჯი თი“

**ხაზარაძე მამუკა**
„თიბისი ბანკი“

## აღმასრულებელი გუნდი:

**ირაკლი ასლანიშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი

**ირინა კვახაძე**
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

**ნიკა ნანუაშვილი**
იურიდიული ანალიტიკოსი

**ნანა ცერცვაძე**
სექტორული განვითარების მენეჯერი

**შოთა კომლაძე**
საგადასახადო და საბაჟო ექსპერტი

**მარიამ სპარსიაშვილი**
მრჩეველი საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობაში

**ნათია ბანცური**
ეკონომისტი

**იზა ლომიძე**
ბუღალტერი

**მარიამ მჭედლიშვილი**
აღმასრულებელი ასისტენტი

**კახა ქებაძე**
სამეურნეო თანაშემწე

# საქართველოს ბიზნეს ასოციაცია წარმოდგენილია

- ინვესტორთა საბჭო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საგრანტო კომიტეტი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საკონსულტაციო საბჭო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საკონსულტაციო ჯგუფი ვაჭრობის საკითხებზე;
- სოლიდარობის ფონდი, სამეთვალყურეო საბჭო და მუდმივმოქმედი კომისია;
- საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფი;
- საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატა, სამეთვალყურეო საბჭო;
- მსოფლიო ბანკის კერძო სექტორთან ურთიერთობის ოფიცერთა გლობალური ქსელი;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო, მრჩეველთა საბჭო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ანტიკორუფციული საბჭო;
- საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მრჩეველთა საბჭო.

**7 000 000 000** ლარს აჭარბებს ასოციაციის წევრი კომპანიების ჯამური წლიური ბრუნვა

**1 000 000 000** ლარს აჭარბებს ბიუჯეტში ჯამურად შეტანილი გადასახადები

**200**-მდე კომპანია გაწევრიანებულია ჯამში ასოციაციაში, პირდაპირ და ჯგუფების სახით

**100 000**-ზე მეტი დასაქმებული წევრ კომპანიებში

# საკომიტეტო მუშაობა

საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში შექმნილია ექვსი კომიტეტი: საგადასახადო-საბაჟო, საფინანსო, საკანონმდებლო ბაზის განვითარების, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის და ტურიზმის კომიტეტები.

კომიტეტების დანიშნულებაა, განიხილონ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრი კომპანიების მიერ კომიტეტის სხდომებზე წამოჭრილი საკითხები, მოამზადონ სათანადო რეკომენდაციები და იმსჯელოს მათზე ხელისუფლებასთან.



## საგადასახადო-საბაჟო კომიტეტი

თავმჯდომარე: **ზურაბ ლალაზაშვილი**

*საერთაშორისო აუდიტორული კომპანია BDO-ს მმართველი პარტნიორი საქართველოში*

2009 წელს შექმნილი კომიტეტის მთავარი დანიშნულებაა, დაიცვას ასოციაციის წევრთა ინტერესები საგადასახადო-საბაჟო კუთხით. ამისთვის ის მჭიდროდ თანამშრომლობს ფინანსთა სამინისტროსთან თუ სხვა შესაბამის სახელისუფლებლო უწყებებთან და აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე სახელმწიფო რეფორმებში. კომიტეტის წევრები ყოველთვიურად იკრიბებიან, განიხილავენ საგადასახადო და საბაჟო საკითხებს და მუშაობენ ფინანსთა სამინისტროსთვის შესათავაზებელ ისეთ საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომლებიც პოზიტიურად აისახება საქართველოს ბიზნესგარემოზე.



## საფინანსო კომიტეტი

თავმჯდომარე: **ვახტანგ ბუცხრიკიძე**

*„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი*

თავმჯდომარის მოადგილე: **ლაშა ბზარაშვილი**

*„4 ფინანსის“ გენერალური დირექტორი*

კომიტეტი შეიქმნა 2010 წელს და დღეს სამ მთავარი მიმართულებაზე მუშაობს: კერძო საპენსიო სისტემის განვითარება, კაპიტალის ბაზრის განვითარება და სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობა. საპენსიო სისტემის ჯეროვანი რეფორმირება ქვეყანაში გააჩენს სოლიდურ და გრძელვადიან საინვესტიციო რესურსი. ამავე მიზნით არის მნიშვნელოვანი კაპიტალის ბაზრის განვითარებაც. ლიზინგის დარგის ხელშესაწყობად კი საფინანსო კომიტეტში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის მთავარი დანიშნულებაა დარგის პრობლემების გამოვლენა, მათი ანალიზი და საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.







## საკანონმდებლო ბაზის განვითარების კომიტეტი

თავმჯდომარე: **ლაშა ნოდია**

*„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“*

კომიტეტი 2011 წელს შეიქმნა. მისი მიზანი სამეწარმეო სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი სარეკომენდაციო წინადადებების მომზადებაა. ასევე, ხელისუფლებასთან მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე. კომიტეტის მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას დაგეგმილი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ასოციაციის წევრი კომპანიების ინფორმირებაც წარმოადგენს. საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა და მომზადება კი, შესაბამისი დარგისა და მიმართულების კომპანიების უშუალო ჩართულობით ხდება.



## სოფლის მეურნეობის განვითარების კომიტეტი

თავმჯდომარე: **გიორგი მარგველაშვილი**

*„თბილღვინო“*

სოფლის მეურნეობა დღემდე ნაკლებგანვითარებულ დარგად რჩება. სწორედ დარგის მხარდაჭერის, რეფორმების ხელშეწყობისა და საკანონმდებლო ბაზის გასაუმჯობესებლად შეიქმნა სოფლის მეურნეობის კომიტეტი საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში. ამ დროისთვის კომიტეტის მიერ გამოკვლეულია სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები. ოთხთვიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად, კომიტეტმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პერსპექტივები, განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი გადაჭრის ხედვა.



## ენერგეტიკის კომიტეტი

თავმჯდომარე: **ზურაბ გელენიძე**

*„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“*

ენერგეტიკა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებაა, მასზე ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის და ამავდროულად თავად უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მყარი ბაზისის შექმნას. ამასთან, ენერგეტიკა დღითი-დღე ხდება საინვესტიციოდ ყველაზე მიმზიდველი სექტორი. სწორედ ამ ეკონომიკური ტენდენციის საპასუხოდ შეიქმნა ენერგეტიკის კომიტეტი საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში 2015 წელს. მისი მთავარი მიზანია, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებაში.



## ტურიზმის განვითარების კომიტეტი

თავმჯდომარე: **გიორგი მარრი**

*„სილქროუდ ჯგუფი“*

ასოციაციას ტურიზმის განვითარების კომიტეტი 2015 წელს დაემატა. ჩვენი ორგანიზაციისთვის ტურიზმის დარგის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. ამასთან, ასოციაციის ბევრი წევრისათვის, ტურიზმი პირდაპირი და არაპირდაპირი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ტურიზმის განვითარების კომიტეტის ძირითადი მიმართულებებია ტურიზმის საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების და დარგში არსებული სხვა პრობლემური საკითხების გამოვლენა, მათი გადასაჭრელი რეკომენდაციების შემუშავება.

ორგანიზაციის განვითარება



# ორგანიზაციის განვითარება 2015 წელს

## ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი

> 2015 წლის ბოლოს თქვენთან ერთად უკან ვიხედები და თვალს ვავლებ ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოს, ორგანიზაციის მიღწევებს, გადალახულ დაბრკოლებებს. ეს იყო საინტერესო, მღელვარე, დინამიკური წელიწადი, პერიოდი, როდესაც ახალ ამოცანებსაც შევეჭიდეთ - ორი მიმართულება, ანალიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები დავიმატეთ და განვითარების მომდევნო ეტაპზე გადავედით.

### ადვოკატირება 2015 წელს

ზემოთ ნახსენებ სიახლეებზე უფრო დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით მოგიყვებით. პირველ რიგში კი ვისაუბრებ ჩვენს მთავარ ფუნქციაზე – წევრი კომპანიების ინტერესების ადვოკატირებაზე და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ 2015 წელს გამორჩეული მოვლენა იყო ინვესტორთა საბჭოს შექმნა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ინიციატივითა და მხარდაჭერით დაარსდა. საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. ინვესტორთა საბჭო არის კერძო და საჯარო სექტორის დიალოგის მოწესრიგებული, სისტემური არხი და კიდევ ერთი ძლიერი ინსტრუმენტი, რომ კერძო სექტორმა მაღალ დონეზე, პრემიერ-მინისტრთან და ეკონომიკური გუნდის მინისტრებთან ყოველკვარტალურად წარადგინოს მისთვის საჭირბოროტო საკითხები. ინვესტორთა საბჭოს პირველი სხდომა უკვე გაიმართა, ასევე, შეიქმნა საგადასახადო და საინვესტიციო თემებზე მომუშავე ჯგუფები, რომელთა წევრებიც არიან ჩვენი აღმასრულებელი გუნდის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ამ საბჭოს პირველ სხდომაზე უკვე წამოვჭერით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის სარჩელის უზრუნველყოფისას ყადაღის გამოყენების დამაზარალებელი პრაქტიკა, ასევე, საკანონმდებლო ინიციატივების საჯარო განხილვების მოწესრიგებული სისტემის აუცილებლობა.

ინიციატივა იმედისმომცემია და ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ ამ პლატფორმიდანაც ჯეროვნად წარმოვადგინოთ კერძო სექტორის ინტერესები.

აქვე დავამატებ, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ 2015 წელს იმუშავა არაერთ კანონპროექტზე, რეგულაციასა თუ რეფორმაზე, რომლებზეც ჩვენი იურიდიული ანალიტიკოსი ნიკა ნანუაშვილი ისაუბრებს.






ორგანიზაციის განვითარება






საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

მოკლედ ეკონომიკაზე

ოქტომბერი, 2015



## დიალოგი ხელისუფლებასთან 2015 წელს

წევრი კომპანიების ინტერესების დასაცავად კრიტიკულად აუცილებელია ხელისუფლებასთან ჯანსაღი, თანმიმდევრული და სისტემური დიალოგის არსებობა. საქართველოს ბიზნეს ასოციაციას ამ დიალოგის წარმართვის მდიდარი ტრადიცია აქვს, რომელიც ყოველწლიურად კიდევ უფრო იხვეწება. კანონპროექტებზე და რეფორმებზე მუშაობისას ჩვენ სისტემატურად ვხვდებით გადაწყვეტილების მიმღებებს ხელისუფლებაში და განვიხილავთ თითოეულ ინიციატივას, რა შედეგს მოუტანს ის კერძო სექტორს და ეკონომიკას. ჩვენი ძალისხმევა უმეტეს შემთხვევაში წარმატებულია და ინიციატივაში შედის კერძო სექტორისთვის სასიკეთო ცვლილებები, ასეთი, იყო მაგალითად შრომის კანონმდებლობა, კანონი შრომით მიგრაციაზე და ბევრი სხვა.

გარდა ამისა, ჩვენ წევრ კომპანიებს ვაძლევთ საშუალებას, შეხვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს და ღიად ესაუბრონ თავიანთ პრობლემებზე. 2015 წელს წევრ კომპანიებთან შესახვედრად მოვიწვიეთ ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ბიზნესომბუდსმენი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საპენსიო რეფორმის ხელმძღვანელი, თბილისის მერი, ენერგეტიკის მინისტრი, საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე, პარლამენტის თავმჯდომარე. ასოციაცია მომავალშიც გააგრძელებს ამ პრაქტიკას და, მიმდინარე კონტექსტის მიხედვით, წევრ კომპანიებთან სასაუბროდ მოიწვევს ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს.

## 2015 წლის სიახლე – წევრები

ჩვენს წარმატებაზე, ნაყოფიერ მუშაობაზე ყველაზე უკეთ წევრი კომპანიების კმაყოფილება და ახალი, მსხვილი კომპანიების ჩვენი ორგანიზაციით დაინტერესება მეტყველებს. სწორედ ამიტომ, აღსანიშნავი შედეგია 2015 წელს 10 ახალი წევრი კომპანიის შემომატება და ჩვენი ასოციაციის კიდევ უფრო გამრავალფეროვნება. კიდევ ერთხელ მივესალმები თითოეულ ახალ წევრს და ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი თანამშრომლობა ღირებული იქნება.

## 2015 წლის სიახლე – ანალიტიკური მიმართულება

თამამად ვიტყვი, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია სანდო და კომპეტენტური პარტნიორია საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული ყველა მხარისთვის. ჩვენს ასეთ იმიჯს კი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მიერ მომზადებული რეკომენდაციების, დასკვნების ხარისხი განაპირობებს. ისინი მუდამ ემყარება საკითხის სიღრმისეულ ცოდნას, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს. 2015 წელს კი, ამ მხრივ კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ასოციაციაში შეიქმნა ახალი – ანალიტიკური მიმართულება; კონკურენტული და მკაცრი კონკურსის შედეგად შეირჩა კანდიდატი ორგანიზაციაში ეკონომისტის პოზიციის დასაკავებლად. ანალიტიკური სამსახურის საქმიანობის შედეგი იქნება ქვეყნის ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა, თემატური კვლევები საქართველოზე და რეგიონზე, ადვოკატირების პროცესში შესაბამისი ეკონომიკური ანალიზის მომზადება. ამ დროისთვის ანალიტიკურმა სამსახურმა უკვე გამოსცა 2015 წლის II და III კვარტლების ეკონომიკური მიმოხილვა, ასევე, ანგარიში საერთაშორისო კვლევებში საქართველოს რეიტინგზე. დარწმუნებული ვარ, ეს კვლევები სასარგებლოა ასოციაციის წევრებისთვის, ასევე, დიდად დაგვეხმარება ადვოკატირების პროცესშიც.

## 2015 წლის სიახლე – საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ეტაპი

2015 წელს, ალბათ, უჩვეულოდ ხშირად გვხედავდით სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემაში, გვისმენდით რადიოში, კითხულობდით ჩვენს ინტერვიუებსა და სტატიებს ბეჭდურ თუ ინტერნეტგამოცემებში. ეს ჩვენი ახალი მედიაპოლიტიკის შედეგია. 2015 წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაცია კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრობდა არამხოლოდ დახურულ კარს მიღმა, არამედ სატელევიზიო, რადიო თუ ინტერნეტსივრცეში, რამაც გამოიღო კიდეც ორმხრივი შედეგი: დაგვეხმარა ადვოკატირების პროცესში და გაზარდა ჩვენი ორგანიზაციის ცნობადობა.

ამ მხრივ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა – ჩვენი წარმატებული გამოჩენა სოციალურ ქსელში, ფეისბუქგვერდით www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia და სრულიად განახლებული ვებ-გვერდი www.BAG.ge.

## 2015 წლის სიახლე – შიდა სტრუქტურების გაძლიერება

2015 წელს არ ჩაუვლია ორგანიზაციის სტრუქტურული გაძლიერების გარეშე. როგორც იცით, ჩვენ ფეხდაფეხ მივსდევთ ეკონომიკის განვითარებას, კერძო სექტორის მოთხოვნებს და ვცდილობთ, ჩვენი ორგანიზაცია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის სტრუქტურულად თუ შინაარსობრივად მუდამ მზად იყოს. ეკონომიკური ტენდენციების საპასუხოდ, 2015 წელს ასოციაციაში ორი ახალი – ტურიზმისა და ენერგეტიკის კომიტეტი შეიქმნა, რომლებიც დარგის საჭიროებებზე იმუშავებენ.

## და ბოლოს

2015 წელი გამორჩეული იყო საერთაშორისო წარმომადგენლობების და პარტნიორებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც, რაზეც ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ირინა კვახაძე ისაუბრებს დაწვრილებით.

როგორც ხედავთ, 2015 წელი მართლაც სიახლეებით დატვირთული გამოდგა. რაც მთავარია, თითოეული ცვლილება სისტემური იყო, ორგანიზაციისგან ძალების სრულ მობილიზებას და ახალ უნარებს მოითხოვდა. მიხარია, რომ თავი გავართვით ამ რთულ გამოწვევებს და ვულოცავ ჩვენს გუნდს, თითოეულ თქვენგანს ამ წარმატებს. 2016 წელს კი ახალი გეგმებით ველოდებით.



# ჩვენი პარტნიორები საქართველოში და მსოფლიოში

ირინა კვახაძე, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში, ცხადია, მხოლოდ ხელისუფლება არ მონაწილეობს, პროცესზე გავლენას ახდენს სხვადასხვა მონაწილე და ინტერესთა ჯგუფი. შესაბამისად, ადვოკატირების პროცესში ხელისუფლება არ არის ერთადერთი მხარე, რომელთანაც საქართველოს ბიზნეს ასოციაციას უწევს ურთიერთობა. დაგეგმილ რეფორმებსა თუ კრიტიკულ კანონპროექტებზე ჩვენ მუდამ ვუზიარებთ ასოციაციის შეხედულებებს, კომენტარებსა და დასკვნებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, დონორ ორგანიზაციებს, ადგილობრივ კვლევით ცენტრებს. წლების მანძილზე საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ ჩამოაყალიბა საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ქვეყანაში წარმოდგენილ ყველა მთავარ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან და ორგანიზაციასთან, რომელიც ჩართულია საჯარო პოლიტიკის განხილვაში.

ეს ურთიერთობები სასარგებლოა ასოციაციის წევრი კომპანიების ბიზნესსაქმიანობისთვისაც. საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ძლიერი საერთაშორისო და ადგილობრივი კავშირები წევრ კომპანიებს უადვილებს კომუნიკაციას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესგაერთიანებებთან პარტნიორობა კი მათ აახლოვებს ქვეყნის გარეთ არსებულ შესაძლებლობებთან.

# საქართველოს ბიზნეს ასოციაცია საერთაშორისო ქსელს აფართოებს

## ჩვენ მსოფლიო ბანკის ქსელის წევრი ვართ

როგორც იცით, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია უკვე მესამე წელია, არის მსოფლიო ბანკის კერძო სექტორთან ურთიერთობის ოფიცერთა ქსელის ერთადერთი წარმომადგენელი კავკასიაში (World Bank PSLO Network). ქსელი თავს უყრის 160 ბიზნესგაერთიანებას 100 ქვეყნიდან. ამ ქსელის წევრობამ საშუალება მოგვცა, მიგვეღო ღირებული ინფორმაცია საგადასახადო თუ სხვა ტიპის რეფორმებში სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე. 2015 წელს სწორედ ამ პარტნიორობის მეშვეობით დავგეგმეთ მაღალი დონის ვიზიტი ესტონეთში და ასოციაციის აღმასრულებელმა გუნდმა შეისწავლა მოგების გადასახადის რეფორმის ესტონური გამოცდილება. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ყოველწლიურად მონაწილეობს ქსელის წევრების შეხვედრაში, სადაც კიდევ უფრო ღრმავდება კავშირები პარტნიორ ბიზნესგაერთიანებებთან.

## აბრეშუმის გზა და ევროპის ბაზარი

ეკონომიკური თვალსაზრისით, ვაჭრობისა თუ ინვესტიციების კუთხით, საქართველოსთვის საინტერესო ქვეყნებია აზერბაიჯანი და ჩინეთი. ამასთან, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ნელ-ნელა უფრო და უფრო მიმზიდველს ხდის ევროპის ბაზარს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის. ამ ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით საქართველოს ბიზნეს ასოციაცია 2016 წელს გეგმავს თანამშრომლობაზე მემორანდუმის გაფორმებას მსხვილ აზერბაიჯანულ, ჩინურ და გერმანულ ბიზნესგაერთიანებებთან. 2016 წელი წევრი კომპანიებისთვის ამ მხრივ საინტერესო იქნება, რადგან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით ჩნდება საინვესტიციო ფორუმების ჩატარების თუ საინტერესო კომპანიასთან, ინვესტორთან პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობები.

## პარტნიორობა ასოციაციასთან, რომელიც 800 000 ფრანგულ კომპანიას აერთიანებს

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია აკვირდება წევრი კომპანიების მოთხოვნების ევოლუციას და შესაბამისად აფართოებს მოქმედების არეალს. უკანასკნელ პერიოდში ცხადად გამოჩნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესგაერთიანებებთან პარტნიორობა, მათი გამოცდილების და კავშირების გაზიარება ღირებულების მომტანი იქნებოდა ჩვენი წევრი კომპანიებისთვის. სწორედ ამიტომ, 2015 წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი საფრანგეთის ყველაზე მსხვილ გაერთიანებასთან, „მედეფ ინტერნეშენალთან“ (MEDEF International). MEDEF International მსხვილი არაკომერციული გაერთიანებაა, რომელიც 800 000-მდე კომპანიას აერთიანებს. ორგანიზაცია ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით ფრანგული კომპანიების მიერ ინვესტიციების განხორციელებას, საერთაშორისო ვაჭრობას, ნოუ-ჰაუს დანერგვას და წარმოადგენს მათ საერთაშორისო დონეზე.

## ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი – ძლიერი პარტნიორი

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი საქართველოს ეკონომიკურ პროცესებში ძლიერ როლს თამაშობენ. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ჩართულია მათ მიერ ორგანიზებულ ყველა სამუშაო ჯგუფში, დისკუსიაში, რომელიც ეხება ჩვენი წევრი კომპანიებისთვის საჭირბოროტო საკითხებს, ბიზნესის განვითარებას. წლების მანძილზე საფინანსო ინსტიტუტებთან ეკონომიკურ პოლიტიკაზე ნაყოფიერად თანამშრომლობის შედეგია ის, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია დღეს ევროპის ბანკის ინიციატივით და მხარდაჭერით შექმნილი ინვესტორთა საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია და ხელი მიუწვდება ხელისუფლებასთან დიალოგის კიდევ ერთ, ძლიერ არხზე.

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ იშურებს ძალისხმევას, რომ განავითაროს ყველა მიმართულება, რომელიც წევრი კომპანიების საჭიროებებს წაადგება. თქვენგან მიღებული უკუკავშირი გვარწმუნებს, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ, წარმატებით ვასრულებთ 2015 წელს და ახალი მიზნებით ველოდებით მოდევნო წელიწადს.





# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ, 2015 ᲬᲔᲚᲘ

ნიკა ნანუაშვილი, იურიდიული ანალიტიკოსი

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საკანონმდებლო პროცესში აქტიური ჩართულობაა;

კონსულტაციები საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პარტნიორ ბიზნესასოციაციებთან - ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია; თითოეული ახალი კანონპროექტის ბიზნესგარემოზე გავლენის ანალიზი და ამ ანალიზის შედეგების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის ამ პროცესის წარმატების საწინდარია.

სამუშაო კი ამ მიმართულებით მართლაც მასშტაბურია, ხან ობიექტური, ხან კი სუბიექტური ფაქტორების გამო, უკანასკნელ პერიოდში ახალი ინიციატივების, რეგულაციების ერთგვარი მოზღვავებაა; ზოგიერთ შემთხვევაში თავად საქართველოს ბიზნეს ასოციაციაა ამა თუ იმ საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორი თუ თანაავტორი. ჩვენი შემაჯამებელი ანგარიშის ამ ნაწილში მოკლედ წარმოგიდგენთ ყველა იმ მთავარ საკანონმდებლო საკითხს, რომელზეც 2015 წელს ვიმუშავეთ.





## ცვლილებები არბიტრაჟის საკანონმდებლო ბაზაში

წლის დასაწყისში არბიტრაჟის სისტემის საკანონმდებლო ბაზაში შევიდა ცვლილებები; ეს ის ცვლილებებია, რომლებზეც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვმუშაობდით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად და რომელთა შედეგადაც დღეს ბიზნესს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმით ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობებით, მიანდოს დავის გადაწყვეტა მისთვის სანდო მსაჯულებს, დაზოგოს დრო და ფინანსური სახსრები.

## შრომის ინსპექცია

ევროკავშირთან ასოცირების პროცესის კვალდაკვალ წარმოიშვა არაერთი რეგულაციის შემოღებისა და დანერგვის ობიექტური აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვდა და მოითხოვს სახელმწიფოს პოლიტიკური დღის წესრიგისა და ეკონომიკური რეალობის დაბალანსებულ ასახვას ახალ რეგულაციებში; ე.წ. შრომის ინსპექციის შექმნის და მისი უფლებამოსილებების განსაზღვრის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ამ კონტექსტში. ჩვენი აქტიური კონსულტაციების შედეგად თავდაპირველ პროექტში არსებითი ცვლილებები შევიდა და შრომის ინსპექციის კომპეტენცია შემოიფარგლა შრომის უსაფრთხოების პირობების მონიტორინგით, შრომით უფლებებთან დაკავშირებული დავების განხილვა კი კვლავ მანამდე არსებული ინსტიტუტების კომპეტენციაში დარჩა.

## შრომითი მიგრაცია

შრომით უფლებებს ეხებოდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივა (შრომითი მიგრაციის შესახებ), რომელიც, სხვა რეგულაციებთან ერთად, ითვალისწინებდა საქართველოში უცხოელთა დასაქმებაზე ცალკეული შეზღუდვებისა და ბიუროკრატიული ბარიერების დაწესებას. მაშინ, როდესაც შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ისედაც მკვეთრი დისბალანსია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის კი შესაბამისი ადამიანური რესურსია აუცილებელი, ბიზნესგარემოზე ეს რეგულაცია ცალსახად ნეგატიურად აისახებოდა. საქართველოს ბიზნეს ასოციაციის როლი აქაც დიდი იყო. სამუშაო პროცესში ჩვენი არგუმენტები სათანადოდ იქნა გაზიარებული, შედეგად კანონპროექტი შეიცვალა.

## საბანკო ზედამხედველობის სისტემის რეფორმა

ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებებმა, რაც საბანკო ზედამხედველობის სისტემის ინსტიტუციურ რეფორმას გულისხმობდა, თავის დროზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია დაინტერესებულ მხარეებს შორის; საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ამ რეფორმის შეფასებასა და განხილვაშიც აქტიურად ჩაერთო, რადგან კერძო სექტორს გაუჩნდა შეკითხვები კანონპროექტის მიზანშეწონილობასა და კანონპროექტზე მუშაობის პროცესზე. ჩვენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან გავმართეთ აქტიური მსჯელობა იმ პრობლემებზე, რომლებიც კანონპროექტის თავდაპირველი ფორმით და, რაც მთავარია, ნაჩქარევად მიღებას შეეძლო გამოეწვია.







მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში

## კანონპროექტი მომხმარებელთა უფლების დაცვის შესახებ

დღემდე განხილვის პროცესშია კანონპროექტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომლითაც ინიციატორებს განზრახული აქვთ შესაბამის სფეროში განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გადმოტანა ქართულ რეალობაში; ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, ამ სფეროში უკვე არსებული რეგულაციების, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების, დამკვიდრებული სავაჭრო წესჩვეულებების და სხვა დაკავშირებული საკითხების ანალიზის შედეგად შევძელით დაინტერესებული მხარეების დარწმუნება, რომ პროექტი მნიშვნელოვან გადამუშავებას საჭიროებს.

## შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონპროექტი

ახლო მომავალში დაიწყება შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონპროექტის აქტიური განხილვა; ეს ის აქტია, რომლითაც უნდა განისაზღვროს დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სამუშაო პირობების სტანდარტები. ჩვენი ძირითადი საზრუნავი კვლავ ოქროს შუალედის მოძებნაა ამ პროცესში. დიახ, ადამიანები უნდა მუშაობდნენ უსაფრთხო გარემოში, ისევე, როგორც ბიზნესს უნდა ჰქონდეს საშუალება, დააკმაყოფილოს უსაფრთხოების აუცილებელი, მინიმალური სტანდარტები და მკვეთრად იყოს გამიჯნული დამსაქმებლისა და დასაქმებულის პასუხისმგებლობა.

## ახალი სამშენებლო კოდექსი

ახლო მომავალში ველოდებით საკანონმდებლო ორგანოში ახალი სამშენებლო კოდექსის პროექტის ინიცირებას. დოკუმენტი ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით და ბიზნესწრეების, მათ შორის საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, ჩართულობით მომზადდა. მასში სისტემატიზებულია სფეროს მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობა, გათვალისწინებული და ადაპტირებულია წარმატებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, გამარტივებულია რიგი ბიუროკრატიული ბარიერები და მოთხოვნებიც ნათელი და გასაგებია.

## კანონპროექტი საპოლიციო გამოსახლების შესახებ

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომლის გარშემოც დიდი აზრთა სხვადასხვაობა და ინტერესთა დაპირისპირებაა, ე.წ. საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის გაუქმებას ითვალისწინებს. ბიზნესგარემოზე (და არა მხოლოდ) უარყოფითი გავლენის რისკი ამ შემთხვევაში მრავალმხრივია, ზიანდება უძრავი ქონების მესაკუთრეთა ინტერესი და უფლება – საკუთრების დასაცავად გამოიყენონ ამჟამად არსებული, სწრაფი და ეფექტური მექანიზმები; იზრდება რისკები იპოთეკური სესხების გაცემის პროცესში, რაც პირდაპირ ასახვას ჰპოვებს სესხის ღირებულებაზე, ზიანდება უძრავი ქონების ბაზარიც...

საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ერთი მთლიანი პროცესია და ჩვენც მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები გამოვყავით, მათ მიღმა კიდევ ათეულობით სხვადასხვა ინიციატივა და პროექტია რომლებზეც ვმუშაობთ და მომავალშიც მოგვიწევს მუშაობა, რათა ჩვენი რესურსებით შევძლოთ, მაქსიმალურად ჩავწვდეთ ამა თუ იმ ახალი რეგულაციის გავლენის მასშტაბს, ღირებულებას და რისკებს, შემდგომში კი ამ ყველაფრის გამოყენებით გადაწყვეტილების მიმღებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შევეცადოთ უკეთესი შედეგების მიღებას.



# ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ

შოთა კომლაძე, საგადასახადო და საბაჟო ექსპერტი

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის დაფუძნების დღიდანვე საგადასახადო კანონმდებლობა და გადასახადების ადმინისტრირება კერძო სექტორისთვის ყველაზე პრიორიტეტულ, მწვავე საკითხებს შორის არის. ეს ასოციაციის საგადასახადო-საბაჟო კომიტეტის საქმიანობაზეც, მის გამორჩეულ აქტიურობაზეც ასახულია. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია რამდენიმე მიმართულებით მუშაობს ამ საკითხებზე: ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო რეფორმების შეთავაზება ხელისუფლებისთვის, არსებული კანონმდებლობის დახვეწა და წევრი კომპანიების კონკრეტული დაბრკოლებების გადაჭრა.










## მოგების გადასახადის რეფორმა

2014-2015 წლებში საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელის" შესახებ მსჯელობებს, განხილვებს და საუბრებს მის შესაძლო შემოღებაზე საქართველოში. მოგების გადასახადის ეს მოდელი უნიკალურია მთელს მსოფლიოში. მისი ძირითადი არსი მარტივია – მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება კომპანიებს წარმოეშობათ არა მოგების მიღების, არამედ მისი განაწილების (დამფუძნებლების მიერ კომპანიიდან მოგების გატანის) მომენტისათვის. ამ მარტივ მოდელს კი დიდი ღირებულების მოტანა შეუძლია როგორც კერძო სექტორისთვის, ისე საგადასახადო ადმინისტრაციული სამსახურებითვის: მას შეუძლია, წაახალისოს რეინვესტიცია, რაც ესტონეთის გამოცდილებით დასტურდება. ამასთანავე, კერძო სექტორისთვის, მით უფრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, მსუბუქდება საგადასახადო ადმინისტრირების ტვირთი, როგორც ფინანსური ისე სხვა რესურსების თვალსაზრისით. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ამ რეფორმაზე, მის აუცილებლობაზე და განხორციელების გზებზე საუბრობს არამხოლოდ ხელისუფლებასთან, არამედ ყველა დაკავშირებულ მხარესთან.

## დავების განხილვის საბჭოს რეფორმა

კიდევ ერთი კრიტიკული ინიციატივა, რომელსაც საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ძალისხმევას არ აკლებს 2015 წელს, არის ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს რეფორმირება. ასოციაციის ინიციატივა გულისხმობს დავების განხილვის საბჭოსთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებას და მის დაკომპლექტებას პროფესიონალი წევრებით, რომლებიც სრული განაკვეთით იმუშავებენ დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილ სარჩელებზე. ეს რეფორმა კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანია, რადგან შედეგად დავების გადაწყვეტა დაჩქარდება და მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობაც მეტად გარანტირებული იქნება.

## ლუდზე აქციზის ზრდა 50%–ით ნაცვლად 100%–ისა

2014 წლის დეკემბერში ასოციაციის საგადასახადოსაბაჟო კომიტეტი აქტიურად ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილების განხილვაში, რომელიც ეხებოდა ლუდზე და სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის გადასახადის 100%-ით გაზრდას. შედეგად ლუდზე აქციზის გადასახადი 100%-ის ნაცვლად, მხოლოდ 50%-ით გაიზარდა, ასევე, აქციზის გაზრდილი გადასახადი წლის დასაწყისის ნაცვლად, ძალაში შევიდა 1 მარტიდან.








## „როიალტი" იბეგრება 5%–ით ნაცვლად 10%–ისა

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მხარდაჭერით, 2015 წლის 1 მაისს, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, არარეზიდენტისათვის გადახდილი „როიალტი" იბეგრება წყაროსთან 5%-ით, ნაცვლად მანამდე არსებული10%-სა.

## 13–14 ივნისის სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებულთა დახმარება

2015 წლის 13-14 ივნისს, თბილისში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად ბევრმა კომპანიამ გაიღო სხვადასხვა თანხა. ჩვენი ინიციატივით მომზადდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და რომელიც ითვალისწინებს ამ დახმარებების ხარჯებში გატარების შესაძლებლობას.

## ხარჯების/ზარალის გამოქვითვის უფლება

ასოციაციის ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ საწარმოებს, კალენდარული წლის განმავლობაში, 200 000 ლარამდე შემოსავლების მიღების პერიოდში ან საანგარიშო წელს შემოსავლის არ ქონის შემთხვევაში, გაწეული ხარჯების/ზარალის გამოქვითვის უფლება მიეცათ.

## სუსტი კაპიტალიზაციის ნორმის ამოქმედების ვადამ გადაიწია

ასევე, ჩვენი დამსახურებაა, რომ სუსტი კაპიტალიზაციის ნორმის ამოქმედების ვადამ გადაიწია ჯერ კიდევ 2014 წელს, ხოლო ამჟამად ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტით, მისი ამოქმედების ვადა კვლავ იწევს 2018 წლის დასაწყისამდე.

## მონაწილეობა მაღალი დონის კოლეგიურ ორგანოებში – ინვესტორთა საბჭო

საქართველოს პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით არსებულ ინვესტორთა საბჭოში, სადაც საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ყველა დონეზეა წარმოდგენილი, შეიქმნა საგადასახადო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფმა ნოემბერში ორი სამუშაო შეხვედრა ჩაატარა და შეთანხმდა რამდენიმე ინიციატივაზე, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგადასახადო გარემოს. ეს ინიციატივები წარედგინება პრემიერ-მინისტრსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს საინვესტიციო საბჭოს მეორე სხდომაზე, 2016 წლის იანვარში.

## შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში შექმნილი საკონსულტაციო საბჭო

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომლის პირველი სხდომაც ჩატარდა 4 ნოემბერს. საკონსულტაციო საბჭოს შექმნის მიზანი საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილე პირების ინტერესების დაცვა და ეფექტურად მომსახურებაა. ასევე, მოქმედ საბაჟო სივრცეში არსებული მიმდინარე საკითხების, კანონპროექტების, ნორმატიული და ქვენორმატიული აქტებისა და შენიშვნების განხილვა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელები და ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები. შემოსავლების სამსახურისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია ბიზნესის მოსაზრებები და წინადადებები საბაჟო სისტემის ფუნქციონირებისა და მომსახურების გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნული ფორმატით თანამშრომლობა კი სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის და ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის გამჭვირვალეობის პრინციპზე დაფუძნებულ ურთიერთობებს.

# საქართველოს ბიზნეს ასოციაციის დარგობრივი მრავალფეროვნება



ნანა ცერცვაძე, სექტორული განვითარების მენეჯერი

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია აწევრიანებს ქვეყნის უმსხვილეს კომპანიებს სხვადასხვა სფეროდან. შეიძლება ითქვას, რომ ასოციაციის პორტფელი პროპორციულად ასახავს ქართული ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას. ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის ზოგად საკანონმდებლო, საგადასახადო, ბიუროკრატიასთან დაკავშირებული თუ სხვა ინიციატივების პარალელურად, ასოციაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დარგობრივ თემებზე მუშაობას. ასოციაციის დაფუძნებიდან დღემდე, მისი განვითარებისა და ზრდის პარალელურად, იზრდება და ვითარდება დარგობრივ საკითხებზე მუშაობაც. დღეს, საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ყველა დარგის შესაბამისი კომიტეტი და თითოეული მიმართულებით მუშაობა დროთა განმავლობაში უფრო სიღრმისეული და აქტიური ხდება.

## სოფლის მეურნეობა – პირველი მცდელობა

პირველი დარგობრივი კომიტეტი, რომელიც საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში 2011 წელს შეიქმნა, სოფლის მეურნეობის განვითარების კომიტეტი იყო. საწყის ეტაპზე კომიტეტი დარგში არსებული პრობლემების გამოვლენით და მათი ხელისუფლებასთან წარდგენით იყო დაკავებული. თანდათან მუშაობა უფრო სიღრმისეული და კომპლექსური გახდა. 2012 წელს კომიტეტმა წარმოადგინა დარგის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების კვლევისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სისტემური ხედვის პრეზენტაცია.

სწორედ ეს კვლევა გახდა ასოციაციაში სექტორული მუშაობის სისტემატიზების საფუძველი.

## ლიზინგის ხელშეწყობა

აღსანიშნავია ასოციაციის საფინანსო კომიტეტის ფარგლებში მოქმედი ლიზინგის განვითარების ჯგუფი, რომელიც 2011 წელს შეიქმნა და ლიზინგის შესახებ კანონის შემუშავების მთავარი მონაწილე იყო. ჯგუფი დღემდე აქტიურად მუშაობს შემოსავლების სამსახურთან და ბიზნესომბუდსმენის აპარატთან, საგადასახადო კოდექსში შესატან, ლიზინგთან დაკავშირებულ ცვლილებებსა და სხვა, მათ შორის, დარგის მარეგულირებელ საკითხებზე.








## კერძო სექტორის მოთხოვნების კვალდაკვალ: ტურიზმი და ენერგეტიკა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წელი სექტორული განვითარების მიმართულებით განსაკუთრებით აქტიური იყო – ასოციაციაში ორი ახალი, ენერგეტიკისა და ტურიზმის განვითარების კომიტეტი შეიქმნა.

ტურიზმის განვითარების კომიტეტის შექმნას წინ უძღოდა კვლევა ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ, რომელშიც მნიშვნელოვანი საკითხები და მათი გადაჭრის გზების სისტემური ხედვაა წარმოდგენილი. აღნიშნულ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია დარგის განვითარებისთვის აუცილებელ საკანონმდებლო-მარეგულირებელ, ინფრასტრუქტურულ, ხარისხობრივ, ბუნებრივი გარემოსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. კომიტეტის შექმნა საკმაოდ ლოგიკური გაგრძელებაა ჩატარებული სამუშაოს შემდეგ. მითუმეტეს, რომ ტურიზმის დარგით პირდაპირ თუ ირიბად დაინტერესებულია ჩვენი წევრების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი. მომავალი წლისთვის იგეგმება მრგვალი მაგიდისა და დისკუსიების ორგანიზება დარგში არსებული პრობლემების კიდევ უფრო მეტად წამოწევისა და მათი გადაჭრის გზების ერთობლივად გამოვლენის მიზნით.

მაშინ, როდესაც საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრი კომპანიების ერთი ნაწილი უშუალოდ წარმოადგენს ენერგიის მწარმოებელს თუ დისტრიბუტორს, მეორე ნაწილი მისი უშუალო მომხმარებელია. ამ მხრივ, ენერგეტიკის კომიტეტის საქმიანობა, რომელიც 2015 წლის შემოდგომაზე შეიქმნა, ასოციაციის წევრთაგან თითქმის ყველასთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა. კომიტეტის პირველ სხდომაზე უკვე წამოიჭრა დარგისთვის აქტუალური საკითხები და შედგა მათი კომუნიკაცია შესაბამის სამინისტროსთან. მომავალი წლისთვის იგეგმება ენერგეტიკის დარგის განვითარების შემაფერხებელი კვლევის ჩატარება, რაც კიდევ უფრო ცხად სურათს მოგვცემს დარგთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომლებზეც იმუშავებს ასოციაცია მომავალში.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრთა რიგები დარგობრივი თვალსაზრისით, თანდათან უფრო მრავალფეროვანი ხდება. ეს, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში კერძო სექტორი ვითარდება, ახალი დარგები ვითარდება და ძლიერდება. წევრების ინტერესების შესაბამისად, ასოციაცია მომავალში გააძლიერებს და გააღრმავებს სექტორულ მუშაობას.



# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

მარიამ სპარსიაშვილი, მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობაში

2015 წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია რადიკალურად შეიცვალა. კერძო სექტორის ინტერესების ნაყოფიერად ადვოკატირებისთვის საჭირო გახდა, რომ ასოციაციისთვის აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრა არამხოლოდ დახურულ კარს მიღმა, არამედ ღია - მედია სივრცეში. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკურმა ტენდენციებმა განსაკუთრებით გააძლიერა მედიის ინტერესი ეკონომიკის და ბიზნესის მიმართ.

ახალი გამოწვევების საპასუხოდ ასოციაციამ ახალი მედია სტრატეგია შეიმუშავა. ეს სტრატეგია კი გულისხმობდა გააქტიურებას რამდენიმე მიმართულებით: სოციალურ ქსელებში, ინტერნეტმედიაში, ბეჭდურ მედიაში და, რაღა თქმა უნდა, სატელევიზიო სივრცეში.









## ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ

2015 წლის დასაწყისში შეიქმნა ასოციაციის ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia, ლინკედინ გვერდი და არხი იუტუბზე.

ჩვენს ფეისბუქგვერდს დღეს 3000 მომწონებელი ჰყავს, რაც მიზნობრივი აუდიტორიის გათვალისწინებით, წარმატებული შედეგია. ასევე, გამორჩეულად მაღალია ინტერესი ჩვენს ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებული სიახლეების – ასოციაციის საქმიანობის, შეხვედრების, კვლევების შესახებ ინფორმაციის მიმართ.

## ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ

2015 წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ საკუთარი მოსაზრებები საზოგადოებას გააცნო ყველა მნიშვნელოვანი საინფორმაციო პლატფორმიდან. ჩვენი კომენტარები ამა თუ იმ მნიშვნელოვან რეფორმაზე, საკანონმდებლო ცვლილებაზე თუ ეკონომიკურ ტენდენციებზე ვრცელდებოდა ინტერნეტმედიაში – **ინტერპრესნიუსით, კომერსანტით, ინფო 9-ით.** ასევე, ვმონაწილეობდით რადიო გადაცემებში – **რადიო თავისუფლებაში, საზოგადოებრივ არხზე, რადიო კომერსანტში, რადიო იმედში.** ყველაზე მეტად კი წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაციას სატელევიზიო სივრცეში იხილავდით, **ბიზნეს კონტაქტში, რეალურ სივრცეში, ბიზნეს კურიერში, თეორემაში, იმედის სატელევიზიო გადაცემებში.** ჩვენი თითოეული შეხვედრა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შუქდებოდა ყველა წამყვანი ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემების მიერ, რასაც თან ახლდა ასოციაციის წარმომადგენლების სატელევიზიო კომენტარები.

## ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ FORBES GEORGIA–ᲨᲘ

2015 წლის ივლისიდან საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ანალიტიკურ სტატიებს აქვეყნებს ჟურნალ ფორბსში. ამ გადაწყვეტილების მიზანია, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ საზოგადოებას გააცნოს სხვადასხვა ეკონომიკური გადაწყვეტილების, მოვლენის დადებითი და უარყოფითი შედეგები ბიზნესზე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ასევე, მსოფლიო პრაქტიკის ჭრილში განიხილოს საკითხი. ანალიტიკური სტატიის ავტორები არიან საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი გუნდის წევრები. დღეისთვის ფორბსში გამოქვეყნებულია სტატიების შემდეგ თემებზე: კერძო სექტორისთვის სავალალო საკანონმდებლო ინიციატივები, ტურიზმის წარმატების ფაქტორები, მოგების გადასახადის რეფორმის ესტონური გამოცდილება, საპენსიო რეფორმის აუცილებლობა, RIA – რეგულაციების გავლენის ანალიზის საჭიროება.

## 2016 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ – ᲑᲚᲝᲒᲘ

2016 წელს კიდევ უფრო ვაფართოებთ ჩვენს საქმიანობას სოციალურ ქსელში – საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ვებგვერდს ემატება ასოციაციის ბლოგი. ეს იქნება სივრცე, სადაც ასოციაცია გამოაქვეყნებს თავის მოსაზრებებს კერძო სექტორისთვის აქტუალურ საკითხებზე.

ახალმა მედია სტრატეგიამ უკვე გამოიღო ხელშესახები შედეგი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ასოციაციის ცნობადობა. რაც მთავარია, ამ სტრატეგიით ადვოკატირების პროცესი მეტად ეფექტური და ნაყოფიერი გახდა. ჩვენ 2016 წელსაც განვაგრძობთ ამგვარ აქტიურობას; მეტიც, როგორც ხედავთ, კიდევ უფრო ვაძლიერებთ ჩვენს წარმომადგენლობას სოციალურ სივრცეში და არამხოლოდ.









## დავების განმხილველი ცენტრი (DRC)
# თანამედროვე სტანდარტების არბიტრაჟი

მაკა ნაჭყებია, დირექტორი



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია 2014 წლის დასაწყისში საარბიტრაჟო ინსტიტუტი „დავების განმხილველი ცენტრი"-ს (DRC) პარტნიორი გახდა და ამ გზით ქვეყნის ყველაზე მსხვილი, თავისი დარგის ლიდერი კომპანიები, ბიზნესმენები და მეორეს მხრივ სათანადო რეპუტაციისა და კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები გაერთიანდნენ ერთი იდეის – საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარების და რეგიონის მასშტაბით თბილისის, როგორც საერთაშორისო კომერციული დავების განხილვის ადგილად აღიარების გარშემო; ამ იდეის განხორციელებისათვის კი საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ სწორედ DRC შეარჩია, როგორც თავის სფეროში ერთ ერთი გამორჩეული, ლიდერი კომპანია.

დავების განხილვის სისწრაფე, ნაკლები ხარჯი, არბიტრთა შერჩევის შესაძლებლობა და, აქედან გამომდინარე, ნდობის მაღალი ხარისხი ის უპირატესობებია, რაც იწვევს ბიზნესის დაინტერესებას და საჭიროებას – ქვეყანაში არსებობდეს თანამედროვე სტანდარტების საარბიტრაჟო ინსტიტუტები.

საქართველოს ბიზნეს ასოციაციისათვის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, DRC-ის შერჩევის უმთავრესი კრიტერიუმი ის გახლდათ, რომ „დავების განმხილველი ცენტრი" უკვე 7 წელია ფუნქციონირებს, გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და რეპუტაციით; ამასთანავე, DRC ერთადერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტია, რომელიც ზრუნავს რა დავის მხარეთა დროსა და კომფორტზე, საარბიტრაჟო დავებს ელექტრონულად აწარმოებს. მხარეებს საშუალება აქვთ, დისტანციურად აწარმოონ დავა, მათ შორის, DRC-ის სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გაეცნონ საქმის მასალას, მიიღონ სიახლეები საქმესთან დაკავშირებით, წარადგინონ ახალი მტკიცებულებები და ა.შ.

DRC პირველი საარბიტრაჟო ინსტიტუტია საქართველოში, რომელმაც საარბიტრაჟო ინსტიტუტის სტრუქტურაში ჩამოაყალიბა უმნიშვნელოვანესი ორგანო – DRC-ის სასამართლო. სასამართლო ახორციელებს საარბიტრაჟო განხილვის სრულ ადმინისტრირებას, ხელს უწყობს საარბიტრაჟო დავის მხარეებს არბიტრთა ტრიბუნალის შექმნაში, საარბიტრაჟო განხილვის პროცესში თანასწორი ჩართულობისა და პროცესუალური უფლებების რეალიზებაში, ფორმალური ნიშნით ამოწმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და უზრუნველყოფს საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დაარქივებას.

DRC ერთადერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტია საქართველოში, რომელმაც უზრუნველყო საკუთარი ელექტრონული საარბიტრაჟო წარმოების პროგრამის ინტეგრირება საერთო სასამართლოების შესაბამის პროგრამასთან. ამის შედეგად, მხარეს, რომელსაც სურს მიიღოს საარბიტრაჟო გადაწვეტილების ცნობა-აღსრულება, ამის გაკეთება შეუძლია დისტანციურად.

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, როგორც DRC-ის პარტნიორი, აქტიურად უჭერს მხარს კომპანიას რათა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებში დავის გადაწყვეტის საშუალებად სულ უფრო ხშირად იქნეს გამოყენებული არბიტრაჟი.

დამატებით ინფორმაციას DRC-ს შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ვებგვერდზე www.drc-arbitration.ge





| სამომავლო გეგმები |

## საჯარო პოლიტიკა:
2013 წლის ეკონომიკური კონცეფციის განახლება

## კვლევა:
რა აფერხებს საქართველოს ეკონომიკურ ჰაბად გადაქცევას

## საერთაშორისო პარტნიორობა
გერმანიასთან,
აზერბაიჯანთან,
ჩინეთთან

## სოციალური ქსელის ახალი ელემენტი:
საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ბლოგი

## პროექტი:
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია განათლებისთვის

არაფორმალური ღონისძიებები ასოციაციის წევრებისთვის

## საგადასახადო რეფორმები:
მოგების გადასახადის რეფორმა,
დავების საბჭოს რეფორმა,
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის რეფორმა

### აგარის შაქრის კომპანია

www.agara.ge

აგარის შაქრის გადამამუშავებელი ქარხანა საქართველოში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ამუშავებს და აწარმოებს თეთრ შაქარს. ქარხანა დაარსების დღიდან (1932 წელი) აწარმოებს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი ნორმების შესაბამის თეთრ შაქარს. ქარხანაში შაქრის წარმოება მიმდინარეობს უწყვეტ ციკლად 24 საათიან რეჟიმში და დასაქმებულია 530 ადამიანი. ქარხნის დღიური წარმადობა შეადგენს 600 ტონა თეთრ შაქარს, წლიური წარმადობა კი 150 000-160 000 ტონა თეთრ შაქარს. კომპანიის წლიური შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადის სახით შეადგენს დაახლოებით 21 მლნ. ლარს

### ავერსი

www.aversi.ge

ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ 1994 წელს დაარსდა და პირველი ბიზნესნაბიჯი მედიკამენტების იმპორტი გახლდათ, თუმცა კომპანიის მასშტაბები თანდათან გაფართოვდა. დღეს „ავერსი“ არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფარმაცევტული კომპანიაა. მისი სააფთიაქო ქსელი 213 ფილიალს აერთიანებს. ამასთან, „ავერსის“ დამფუძნებლის ინიციატივით ათიოდე წლის წინ მსოფლიო დონის საწარმოს „ავერსი-რაციონალის“ მშენებლობა დაიწყო და დღეს ამ საწარმოს პროდუქცია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაშიც მსოფლიო ფარმაცევტული ბრენდების ნაწარმს უწევს კონკურენციას. მასშტაბური პროექტის – „ავერსის კლინიკათა“ ქსელის მშენებლობის ინიციატორიც „ავერსის“ დამფუძნებელი გახლავთ. „ავერსის კლინიკა“ მთელი საქართველოს მასშტაბით 9 სამედიცინო დაწესებულების მფლობელია. ასევე, „ავერსი“ არის სადაზღვევო კომპანიის „ალფას“ დამფუძნებელიც. ავერსმა საზოგადოებაში ქველმოქმედის სახელიც დაიმკვიდრა. სოციალურად დაუცველი ფენების მხარში დგომა და დახმარება „ავერსის“ მესვეურთა კეთილი ნების გამოხატულებაა.

### აზოტი

www.azot.ge

რუსთავის „აზოტი“ ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე ქიმიური საწარმო და აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მწარმოებელია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსთავის „აზოტში“ გარდა აზოტოვანი სასუქებისა, ასევე იწარმოება ამიაკის, ნატრიუმის ციანიდის, აზოტმჟავის, ამიაკის წყლის და სხვა პროდუქციის წარმოება. საწარმო წარმოადგენს საქართველოს შიდა ბაზარზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აზოტოვანი სასუქების ძირითად მიმწოდებელს. საწარმო „აზოტის“ პროდუქციის მომხმარებლებია ასევე ხმელთაშუა და შავი ზღვის ქვეყნები. ბოლო წლებში იმ გამოგონებებისათვის, რომელთა დანერგვა საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად გაიზარდოს პროდუქციის ხარისხი, საწარმოზე გაცემულია საქართველოს რესპუბლიკის პატენტები. საწარმოში დღეს დასაქმებულია 2 ათასზე მეტი ადამიანი. დღეისათვის, რუსთავის „აზოტი“ თავისი შესაძლებლობებით ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამრეწველო საწარმოა საქართველოში.



ჩვენი წევრები

### აიდეკო

www.ideco.ge

საერთაშორისო განვითარების კომპანია „აიდეკო“ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე გამოჩნდა 2007 წელს. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია უძრავი ქონების განვითარება, მშენებლობის მენეჯმენტი, უძრავი ქონების მართვა და მომსახურება. საცხოვრებელი კომპლექსი „სახლი ოპერასთან“ წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ განხორციელებულ პროექტს, რომელიც დასრულდა 2012 წელს. ქართულ სამშენებლო ბაზარზე „აიდეკომ“ ერთ-ერთმა პირველმა შესთავაზა კლიენტებს ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური მასალებით გარემონტებული ბინები და ოფისები. აიდეკო“ აქტიურად არის ჩართული ისტორიული ბალნეოლოგიური კურორტის, წყალტუბოს რეკონსტრუქციის პროცესში. კურორტის ძირითადი სტრატეგიული დანიშნულების ადგილები და სამკურნალო აბანოები ჰოლდინგის საკუთრებას წარმოადგენს. გარდა ამისა, კომპანია „აიდეკო“ პარტნიორებთან ერთად ფლობს სასაწყობე მეურნეობას 7,5 ჰა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის მნიშვნელობიდან გამომდინარე. კომპანია ასევე აქტიურად განიხილავს ენერგეტიკულ პროექტებში ინვესტირების საკითხს. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა კომპანიის ახალ ინტერესთა სფეროს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის ტრადიციებიდან და რესურსებიდან გამომდინარე იძლევა ბიზნესის განვითარების ფართო შესაძლებლობებს.

### არქი ჯგუფი

www.archi.ge

არქი ჯგუფი დაარსდა 2006 წელს. თავდაპირველად კომპანია დაკავებული იყო საინვესტიციო და საკონსულტაციო საქმიანობით, 2008 წლიდან კი აქტიურად შემოვიდა საქართველოს დეველოპერულ ბაზარზე; არქი ჯგუფი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც ზრუნავს მშენებლობის მაღალ ხარისხსა და ეკოლოგიურობაზე, იყენებს მხოლოდ ენერგოეფექტურ მასალებს. არქი ჯგუფი სამშენებლო პროექტებს თბილისის თითქმის ყველა უბანში ახორციელებს; დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში კი მიმდინარეობს მასშტაბური პროექტები, მათ შორის მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი „არქი თაუერის“ მშენებლობა ჭავჭავაძის გამზირზე. კომპანიის საკუთრებაშია უკვე გახსნილი სასტუმროების ქსელი „სანსეტი“: სანსეტ კვარიათი – სასტუმრო ტიპის ელიტარული აპარტამენტები კვარიათში და სანსეტ შოვი – პირველი ოთხვარსკლავიანი სასტუმრო რაჭის კურორტ შოვში; ძველ თბილისში შენდება ბუტიკის ტიპის სასტუმრო „სილვერ 39“.

### აუთდორი

www.outdoor.ge

კომპანია „აუთდორ.ჯი“დაარსდა 2008 წელს და მოკლე დროში დაიკავა ლიდერის პოზიცია საქართველოს გარე რეკლამის ბაზარზე. „აუთდორ.ჯი“ მომხმარებლებს სთავაზობს ეფექტურ და მრავალფეროვან გარე სარეკლამო მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია ფლობს უფლებას განათავსოს საიმიჯო რეკლამა: ბილბორდებზე, მონიტორებზე, თბილისის ლიფტებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე (ავტობუსი და მეტრო), ქალაქში არსებულ საფეხმავლო ხიდებზე.კომპანიის გამოცდილი და კვალიფიციური გუნდი ეხმარება ორგანიზაციებს, მრავალფეროვანი სარეკლამო საშუალებების სწორი კომბინაციისა და კონკრეტულ საქმიანობაზე მორგებული პირობების შერჩევით ეფექტურად მიიტანონ ინფორმაცია მიზნობრივ მომხმარებლამდე, შედეგად გაზარდონ ბრენდის ცნობადობა და გაყიდვები.

### ბაზისბანკი

**www.basisbank.ge**

„ბაზისბანკი“ საქართველოში 1993 წელს დაარსდა. ბანკის მენეჯმენტს ჰქონდა მკაფიო მიზანი, შეექმნა მოქნილი, სანდო, ფინანსურად გამჭირვალე და კლიენტების მოთხოვნებზე ორიენტირებული უნივერსალური ინსტიტუტი. მუდმივი და სტაბილური ზრდისა და განვითარების ფონზე, „ბაზისბანკმა“ აიმაღლა ცნობადობა და რეგიონში საიმედო პარტნიორის სტატუსი მოიპოვა.2008 წელს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) „ბაზისბანკის“ 15%-იანი აქციათა პაკეტის მფლობელი გახდა. 2012 წელს უმსხვილესმა ჩინურმა კომპანიამ „ჰუალინგ ჯგუფმა „ ბანკის აქციათა 90% შეისყიდა, დღეს ეს წილი 99.8%-მდე გაზარდა. თავად „ჰუალინგ ჯგუფმა“ საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო საინვესტიციო პროექტების განხორციელება და დღემდე, „ჰუალინგ ჯგუფმა „ საქართველოში განახორციელა 5 ძირითადი, მსხვილი საინვესტიციო პროექტი, რომელთა მთლიანი საინვესტიციო თანხა 2014 წლის ბოლოსათვის 500 000 000 აშშ დოლარია. 2014 წლის ბოლო მონაცემებით, „ჰუალინგ ჯგუფი“ საქართველოში წამყვან, უცხოურ საინვესტიციო კომპანიად დასახელდა. დღესდღეისობით „ბაზისბანკის“ ბრუნვა ყოველწლიურად აღემატება 46 მლნ ლარს. მის მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხა გადასახადების სახით 4,6 მლნ ლარს შეადგენს. მთლიანობაში „ბაზის ბანკის“ თანამშრომლების რაოდენობა 300-ს აღემატება.

### ბანკი რესპუბლიკა

**www.br.ge**

ბანკი „რესპუბლიკა“, როგორც საერთაშორისო ჯგუფის, „სოსიეტე ჟენერალის“ წევრი, მუშაობს ჯგუფის ზოგადი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. ბანკის მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის ხელსაყრელი და მდგრადი დაფინანსება, კლიენტთა საჭიროებების სათანადო დაკმაყოფილება და საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვა. ბანკი „რესპუბლიკა“ თავის თანამშრომლებს პროფესიულ გამოწვევებს და კარიერის განვითარების შესაძლებლობებს სთავაზობს. ბანკი „რესპუბლიკის“ სტაბილური განვითარების საფუძველი კლიენტებთან და პარტნიორებთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება და განმტკიცებაა, რაც თავის მხრივ თანამშრომელთა სამართლიან და პროფესიონალურ დამოკიდებულებას ეფუძნება. კორპორაციული კულტურა, რომელიც გუნდური სულისკვეთების პრინციპზეა აგებული და შესაბამისად აისახება ბანკის ღირებულებებზე, ჩვენი მომავალი წარმატების საწინდარია.

### ბევრილი ჯგუფი

**www.bevrili.ge**

კომპანიამ თავისი საქმიანობა 2004 წელს დაიწყო. თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, 45000 მ2 ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი კომპლექსი, რომელიც მოიცავს წისქვილს, სილოსებს, სასაწყობო მეურნეობას და სხვა აუცილებელ საშუალებებს ევროპული ხარისხის პროდუქციის (ფქვილი, ქატო, ღერღილი) საწარმოებლად. „ბევრილი ჯგუფი“ ფლობს დიდ სავაჭრო ქსელს. დღეისთვის საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში ფუნქციონირებს 50-მდე სარეალიზაციო-სავაჭრო მაღაზია და ეს ქსელი კიდევ უფრო ფართოვდება. „ბევრილი ჯგუფი“ თავისი ტექნიკური აღჭურვილობით და სავაჭრო ქსელით საქართველოში არსებულ მსგავს კომბინატებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანია.



ჩვენი წევრები

### ბი დი ო

**www.bdo.ge**

აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია ბიდიო წელს 15 წლის იუბილეს აღნიშნავს. 2 ოფისით, 100-ზე მეტი პროფესიონალითა და გლობალური ქსელის მხარდაჭერით, რომელიც 152 ქვეყანაშია წარმოდგენილი, ბიდიო კლიენტებს სთავაზობს აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების ფართო სპექტრს. ბიდიოს საქართველოში ლიდერი, მე-4 პოზიცია უკავია წამყვან აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიებს შორის. ბიდიოს პროფესიონალების გუნდი ინოვაციური მიდგომებით ეხმარებიან კლიენტებს მათი ბიზნესის ზრდა-განვითარებაში, სამუშაო პროცესების დახვეწასა და შესაძლო რისკების გამოვლენაში. კლიენტებთან განსაკუთრებული ურთიერთოებები, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აქცენტირება, პარტნიორული მიდგომები, პასუხისმგებლობა და სანდოობა, დაპირებების შესრულება და ღია, გულწრფელი კომუნიკაციის შენარჩუნება ბიდიოს მთავარი ფასეულობებია.

### ბორანი

**www.borun.ge**

„ბორან ჯგუფი“ ჰოლდინგური კომპანიაა, რომელიც საქართველოს მასშტაბით ბიზნესის სხვადასხვა სფეროში საქმიანობს, ესენია: სამთო მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და საკონსულტაციო საქმიანობა. ჯგუფში შემავალი 6 კომპანიიდან ყველა ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს, ზოგიერთს პროდუქცია გააქვს ექსპორტზე ევროკავშირში. „ბორან ჯგუფი“ მიზნად ისახავს ბაზარზე წილის გაზრდას და შესაბამის სფეროებში წამყვანი პოზიციების დაკავებას. ჯგუფი ღიაა ერთობლივი საქმიანობისთვის და საინვესტიციო შესაძლებლობებისათვის საერთაშორისო კომპანიებთან ან ინსტიტუტებთან ერთად და ამით ქმნის თანამედროვე, გამჭვირვალე და დამოუკიდებელ კორპორატიულ სტრუქტურას.

### ბორჯომი

**www.borjomi.ge**

კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“ საერთაშორისო კომპანია „IDS Borjomi International“-ის შემადგენელი ნაწილია. IDS Borjomi International ნატურალური მინერალური წყლების უმსხვილესი მწარმოებელია.წარმოების მაჩვენებლის მიხედვით იგი დსთ-სა და ბალტიისპირეთის მასშტაბით ბაზრის ლიდერი კომპანიაა ბოთლში ჩამოსხმული ნატურალური მინერალური წყლების სეგმენტში. კომპანია „ IDS ბორჯომი საქართველო“ ქართული მინერალური წყლების ბაზრის ლიდერია. ბაზარზე მისი პროდუქცია წარმოდგენილია მინერალური წყლის შემდეგი ბრენდებით: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „ბორჯომის წყაროები“ და „ბაკურიანი“. საყოველთაოდ ცნობილი ბრენდით „ბორჯომი“ კომპანია დღეისათვის მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი.

### გალფი

**www.gulf.ge**

Gulf Georgia ერთ-ერთი წამყვანი ნავთობკომპანიაა ქართულ ბაზარზე, რომელიც საწვავის ხარისხითა და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. 2010 წლის მარტიდან საქართველოში საერთაშორისო ბრენდს ოფიციალურად შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ წარმოადგენს. მსოფლიო ბრენდი Gulf Oil International, რომელიც 1901 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნდა, ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა მსოფლიო ბაზარზე. Gulf Georgia 140 ავტოგასამართ სადგურს აერთიანებს საქართველოს მასშტაბით, მათგან 43 თბილისში მდებარეობს. საწვავის იმპორტს კომპანია ევროპის საუკეთესო ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებიდან აწარმოებს და ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით აკმაყოფილებს უმაღლეს სტანდარტებს. გალფის ავტოგასამართი სადგურები გამოირჩევა თანამედროვე აღჭურვილობითა და დასავლურ სტანდარტებზე დაფუძნებული ინოვაციური ტექნოლოგიებით. გალფი წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ დამსაქმებელს საქართველოში. კომპანიაში დღეს 1300-ზე მეტი დასაქმებულია და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

### დაგი

www.dagi.ge

შპს „დაგი“ დაარსდა 2004 წელს და დაარსებიდან დღემდე ეწევა სამშენებლო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ხარისხის კონტროლის სრული დაცვით, რასაც განაპირობებს კომპანიის მრავალწლიანი გამოცდილება, კვალიფიცირებული ინჟინრებისა და არქიტექტორებისგან შემდგარი ერთიანი ჯგუფი. „დაგი“ ცნობილია ხარისხიანი და ეფექტური მომსახურებით, შესრულების პროფესიონალური მახასიათებლებით, მუდმივად მობილიზებული მუშახელითა და უახლესი სპეციალური დანიშნულების ტექნიკით, რამაც განაპირობა კომპანიის მიერ არაერთი მაშტაბური პროექტის განხორციელება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. „დაგი“ ფლობს ISO 9001:2008 სერთიფიკატს (ხარისხის მენეჯმენტის სისტემები). კონკურენციისა და სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 18 ივნისის განკარგულებით „დაგი“ რეგისტრირებულია სააგენტოს „თეთრ სიაში“.

### ვითიბი ბანკი

www.ge.vtb.ge

ვითიბი ბანკი უნივერსალური საბანკო ინსტიტუტია, რომელიც მომხმარებელს თანამედროვე კომერციული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს სთავაზობს. ბანკი, როგორც ვითიბის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის წევრი, საქართველოში მაღალი სტანდარტის მომსახურებას სთავაზობს მსხვილ კომპანიებს, მცირე და საშუალო ბიზნესს და ფიზიკურ პირებს. ბანკის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ექსკლუზიური მაღალტექნოლოგიური პროდუქტების და თანამედროვე დისტანციური მომსახურების შეთავაზება. გლობალური სარეიტინგო სააგენტოს Standard and Poor`s-ის მიერ ვითიბი ბანკს მინიჭებული აქვს რეიტინგი BB-/B. საქართველოში ბანკი 34 წერტილით ოპერირებს.

### ვისოლი

www.wissol.ge

„ვისოლ ჯგუფის“ განვითარების ისტორია 14 წლის წინ ნავთობპროდუქტების რეალიზაციით დაიწყო. დღესდღეობით „ვისოლი“ უკვე ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესჯგუფია საქართველოში, რომელმაც არა მხოლოდ ენერგეტიკის თითქმის ყველა სფერო მოიცვა, არამედ სამშენებლო, სარეკლამო, სასტუმროების, სუპერმარკეტებისა და ამერიკული რესტორნების ქსელის ბიზნესსაც ანვითარებს. „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი ბრენდებია: „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „ეარ ვისოლი“, „ვისოლ გაზი“, ავტომომსახურების ქსელი „ვიანორ ჯორჯია“, „ვისოლის გაზის სადისტრიბუციო კომპანია“, უძრავი ქონების კომპანია „ველაჯიო“, სარეკლამო კომპანია „ალმა“, სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“, ამერიკული რესტორნების ქსელი „ვენდის საქართველო“, ამერიკული რესტორნების ქსელი „დანკინ დონატსი საქართველო“, სასტუმრო „ლომსია“, ფიტნესცენტრი „ლაგუნა ქუთაისი“, „ვისოლ ჯგუფის“ საერთაშორისო პარტნიორები არიან: BNP Paribas, Geneva, Societe General, Geneva, BCGE _ Banque Cantonale de Geneve, ATB - Amsterdam Trade Bank, EBRD - European Bank for Reconstruction and Development, OPIC - Overseas Private Investment Corporation, Total, Chevron, Nokian Tyres, Vianor, Wendy's, Dunkin' Donuts.

### თბილღვინო

www.tbilvino.ge

საწარმოს ისტორია XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. 1962 წელს, მაშინ, როცა თბილისში მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი მიმდინარეობდა, საქართველოში იმ დროისთვის ყველაზე დიდი ღვინის საწარმო გაიხსნა. მრავალწლიანი ისტორიისა და დიდი მასშტაბების მიუხედავად, ქარხანა მაინც საბჭოთა მეღვინეობის ნაწილად რჩებოდა პოსტსაბჭოთა წლებშიც კი, სანამ 1999 წელს ყველაფერი არ შეიცვალა და არ შეიქმნა ახალი ფილოსოფია, რომელიც დღესაც იხვეწება. ამ ფილოსოფიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „თბილღვინო“ უნდა იყოს პასუხისმგებელი საწარმოს მიერ ჩამოსხმულ თითოეულ ბოთლზე, თვალყური ადევნოს ღვინის წარმოების ყოველ ეტაპს ვენახიდან მომხმარებლამდე და უპასუხოს ახალ ტენდენციებს. „თბილღვინო“ ძალზე აქტიურად იყენებს თანამედროვე უცხოელი მეღვინეების გამოცდილებასაც. 2002 წლიდან მოყოლებული „თბილღვინოს“ ღვინოების სტილის შექმნაში მონაწილეობას იღებენ ცნობილი ავსტრალიელი, ფრანგი და იტალიელი მეღვინეები, რომლებიც თავისი განუმეორებელი ღვინის ფილოსოფიით გამოირჩევიან.



ჩვენი წევრები

### თეგეტა მოტორსი

www.tegetamotors.ge

„თეგეტა მოტორსი“, წარმოადგენს ჰოლდინგს, რომელიც აერთიანებს 5 შვილობილ კომპანიას: შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ (MAN truck & Bus AG-ის, ოფიციალური წარმომადგენელი), შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენთი“ (JCB-ის ოფიციალური წარმომადგენელი); შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ („პორშესა“ და „მაზდას“ ოფიციალური წარმომადგენელი), ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (Shell Lubricants – ოფიციალური წარმომადგენელი) და კიდევ ერთი ახალი შვილობილი კომპანია – „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ (TOYOTA-ს დილერი და ავტორიზებული სერვისცენტრი საქართველოში). „თეგეტა მოტორსმა“, ასევე, ავსტრიულ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კომპანია Gebruder Weiss-თან პარტნიორობით ერთობლივი საწარმო დააფუძნა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პრემიუმ კლასის ლოგისტიკური ცენტრი ააშენა. დღეს კომპანიას 900-მდე ადამიანი ჰყავს დასაქმებული. ემსახურება 10 000-მდე კორპორატიულ კლიენტს და 800-მდე საბითუმო ობიექტს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 16 ფილიალს.

### თიბისი ბანკი

www.tbcbank.ge

„თიბისი ბანკი“ წამყვანი უნივერსალური საბანკო ჯგუფია საქართველოში, რომლის წილი საცალო დეპოზიტებში 33.3%-ს, ხოლო მთლიანად დეპოზიტებში 27.8%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა სესხებისა და აქტივების მხრივ შესაბამისად 27% და 25.8% წილით. ბანკი ემსახურება 1.100 ათასზე მეტ კლიენტს დივერსიფიცირებული, მრავალარხიანი პლატფორმით, „თიბისი ბანკის“ 121 ფილიალით. გააჩნია ბანკომატებისა და სწრაფი ჩარიცხვის აპარატების ერთ-ერთი უდიდესი ქსელი საქართველოში. ჯგუფში დასაქმებულია 4900 ადამიანი, მათგან ნახევარზე მეტი, უკვე 4 წელზე მეტია რაც ბანკში მუშაობს. წლების განმავლობაში ბანკს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. მათ შორის, Global Financee Magazine-ის მიერ ექვსჯერ დასახელდა როგორც „საუკეთესო ბანკი საქართველოში“, ექვსჯერ The Banker, სამჯერ EMEA Finance და Euromoney-ის მიერ. „თიბისი ბანკს“ მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტებისა და სერვისების არჩევანი აქვს მისი საცალო, კორპორატიული და მცირე და საშუალო, ასევე მიკრო კლიენტებისათვის. ბანკის კლინტთა უმრავლესობა საქართველოშია კონცენტრირებული.

### თიბისი ლიზინგი

www.tbcleasing.ge

„თიბისი ლიზინგი“ დაფუძნდა 2003 წელს. 400 კლიენტითა და მათთან გაფორმებული 1000-ზე მეტი მოქმედი ხელშეკრულებით, კომპანია დღეისათვის ლიდერია ბაზარზე და მართავს 52 მლნ. ლარის პორტფელს. „თიბისი ლიზინგის“ კლიენტები არიან სამედიცინო, პოლიგრაფიული, სატრანსპორტო კომპანიები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურებისა და ვაჭრობის, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე კომპანიები. სისწრაფე და მოქნილობა მიმზიდველს ხდის „თიბისი ლიზინგის“ პროდუქტებს როგორც დამწყები და მზარდი, ასევე შემდგარი მსხვილი კომპანიებისათვის. დღეისათვის ლიზინგის ჯამურმა პორტფელმა საქართველოში 80 მლნ. ლარს გადააჭარბა, საიდანაც მოწინავე ადგილი 65%-ით „თიბისი ლიზინგს’ უჭირავს. თიბისი ლიზინგის პარტნიორები არიან: BSTDB, EBRD, RESPONSABILITY, SYMBIOTICS, MICROVEST, TRIPLE JUMP და სხვა.

### იბერია რიფრეშმენტსი
www.pepsi.ge

„იბერია რიფრეშმენტსი“ აწარმოებს უალკოჰოლო გამაგრილებელ სასმელებს. ძირითადი პროდუქტებია პეპსი და პეპსი ლაითი. ს.ს. „იბერია რიფრეშმენტსი“ ფუნქციონირებს 2004 წლიდან. 2005 წელს Pepsico International-მა იბერია რეფრეშმენტს გადასცა ჯილდო, როგორც ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანია პეპსის ჩამომსხმელებს შორის. დღეისათვის კომპანიას უკავია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია. კომპანიაში დასაქმებულია 227 თანამშრომელი. ყოველ წელს კომპანია აფართოვებს პროდუქციის ასორტიმენტს და სიახლეებს სთავაზობს მომხმარებელს. ბოლო სამი წლის განმავლობაში „იბერია რიფრეშმენტსის“ ასორტიმენტს დაემატა „აქუაფინა“ ლიმნის და მანდარინის არომატით, მწვანე ვაშლის „მირინდა“, „მაუნთინ დიუ“.

### იუ ჯი თი
www.ugt.ge

14 წლიანი გამოცდილებით და 200-მდე თანამშრომლით, „იუ ჯი თი“ წარმოადგენს რეგიონის ლიდერ სისტემურ ინტეგრატორს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სივრცეში. „იუ ჯი თი“-ს მისიაა, დაეხმაროს კლიენტებს დასახული მიზნების მიღწევაში, თანამედროვე ტექნოლოგიებზე, პროდუქტებზე და სერვისებზე აგებული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო გადაწყვეტილებების მიწოდების გზით. „იუ ჯი თი“ დიდ კორპორაციებსა და სამთავრობო ორგანოებს სთავაზობს ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს. დღეისათვის „იუ ჯი თი“-ს კლიენტების სიაში 300 მოწინავე კომპანიაა. დაარსებიდან დღემდე „იუ ჯი თი“-მ მოახერხა გამხდარიყო 25-ზე მეტი მსოფლიოს უმსხვილესი IT კომპანიის ბიზნესპარტნიორი და მომწოდებელი. „იუ ჯი თი“ ასევე წარმოადგენს პირველ სისტემურ ინტეგრატორ კომპანიას კავკასიის რეგიონში, რომელიც ISO 9001-2000 სერთიფიკატის მფლობელია.

### კავკასუს ონლაინი
www.co.ge

„კავკასუს ონლაინი“ ერთ-ერთი წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანიაა საქართველოში. კომპანია ბაზარზე 1998 წელს „კავკასუს ნეთვორქის“ სახელით გამოჩნდა, როგორც ერთ-ერთი პირველი ინტერნეტ პროვაიდერი. მოგვიანებით, 2006 წელს „კავკასუს ნეთვორქთან“ ორი ძირითადი ინტერნეტ პროვაიდერის – „ჯორჯია ონლაინისა“ და „სანეტის“ გაერთიანებით სატელეკომუნიკაციო ბაზარზე გაჩნდა ახალი კომპანია – „კავკასუს ონლაინი“. 2008 წლიდან კომპანიას შეუერთდა „ტელენეტი“, უკაბელო ინტერნეტის ძირითადი პროვაიდერი საქართველოში, რის შემდეგაც „კავკასუს ონლაინის“ პორტფელი კიდევ რამდენიმე პროდუქტით გაიზარდა. 2008 წლიდან „კავკასუს ონლაინი“ ვარნა – ფოთის დამაკავშირებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მფლობელია. დღესდღეობით, „კავკასუს ონლაინი“ მომხმარებელს შემდეგ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას სთავაზობს: ინტერნეტ-მომსახურება (DSL; ოპტიკურ-ბოჭკოვანი; უკაბელო); საბითუმო მომსახურება (IP ტრანზიტი); საერთაშორისო არხები; (Capacity Transit Services); ტელეფონი (ფიქსირებული, VOIP); საერთაშორისო სატელეფონო კოდი 8-07; ჰოსტინგი/კოლოკაცია; IP ტელევიზია.

### კორ სტანდარტ ბანკი
www.ksb.ge

„კორ სტანდარტ ბანკი“ უნივერსალური ბანკია, რომელიც უმსხვილესი კომპანია „დაბი ჯგუფის“ ერთ-ერთი პირველი ინვესტიციაა საქართველოში. ბანკი ორიენტირებულია, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე, ასევე საცალო საბანკო მომსახურებაზე. ბანკი ემსახურება როგორც კორპორატიულ, ასევე საცალო კლიენტებს. „ქეი ეს ბი“ საქართველოს მასშტაბით, ოპერირებს 19 ფილიალით და 25 მომსახურების სააგენტოთი და მომხმარებელს სთავაზობს საბანკო მომსახურებებისა და პროდუქტების ფართო სპექტრს. „ქეი ეს ბი“-ს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის წევრის მიზანია, გუნდური ძალისხმევითა და მიზანსწრაფული მუშაობით გახდეს საერთაშორისო დონის ფინანსური ინსტიტუტი.





### CUSHMAN & WAKEFIELD | VERITAS BROWN
www.veritasbrown.com

Cushman & WAKEFIELD | Veritas Brown წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილესი უძრავი ქონების საკონსულტაციო კომპანია – Cushman & WAKEFIELD-ის პარტნიორს. Cushman & WAKEFIELD-ის გლობალური ქსელის მეშვეობით Veritas Brown – ს აქვს წვდომა მსოფლიოს 60 ქვეყნის 250 ოფისში დასაქმებულ 16 0000 პროფესიონალზე. Cushman & WAKEFIELD | Veritas Brown უზრუნველყოფს დამკვეთის მრავალფეროვან მოთხოვნებთან მისადაგებულ სრულფასოვან მომსახურებას კომერციული უძრავი ქონების სფეროში: გაყიდვა/გაქირავება, კონსულტაცია, კაპიტალდაბანდებები, შეფასება, კვლევა, უძრავი ქონების მართვა, პროექტების მენეჯმენტი. ყაზახეთში 3 წლიანი ოპერირების შემდეგ Cushman & WAKEFIELD | Veritas Brown-მა საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ათვისება დაიწყო. პირველი წარმომადგენლობითი ოფისი თბილიში 2012 წელს გაიხსნა. 2014 წლიდან კი კომპანიის მეორე ოფისი ბათუმში იწყებს ოპერირებას. Cushman & WAKEFIELD | Veritas Brown-ის დაფუძნება განაპირობა მზარდმა მოთხოვნამ ექსპერტებსა და კვალიფიციურ კონსულტაციაზე ცენტრალური აზიისა და კავკასიის უძრავი ქონების ბაზარზე. კომპანიის საქმიანობის გაფართოება მთელი ამიერკავკასიის რეგიონის მასშტაბით იგეგმება.

### ლიბერთი ბანკი
www.libertybank.ge

„ლიბერთი ბანკი“ სამართალმემკვიდრეა 1994 წელს პრივატიზებული, „აგრომრეწვბანკისა“, რომელსაც 2002 წელს სახელი გადაერქვა და „სახალხო ბანკის“ სახელით გახდა ცნობილი. 2010 წლის მარტში ბანკს „ლიბერთი ბანკი“ დაერქვა. „ლიბერთი ბანკს“ საქართველოში ფილიალების ყველაზე დიდი ქსელი აქვს და 1.4 მილიონზე მეტ ფიზიკურ და 72,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას. ბანკი სიდიდით მესამეა საქართველოში აქტივების ჯამური მოცულობით და 8.2%-იანი წილით. 2009 წლის სექტემბერში „ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიამ“ და „ლიბერთი კაპიტალმა“ ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინეს.

### ლილო მოლი
www.lilomall.ge

კომპანია „ელსავაკო“, ამჟამად უკვე „ლილო მოლი“, დაფუძნდა 1991 წელს. სავაჭრო ცენტრის სტრატეგიული ადგილმდებარეობა, წარმოდგენილი პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი, ხელმისაწვდომი ფასები და როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობის შესაძლებლობა გახდა ის კონკურენტული უპირატესობა, რომელმაც კომერციული ცენტრის წარმატება განაპირობა. წლების განმავლობაში მისი პროდუქტით მარაგდებოდა არა მხოლოდ საქართველოს რეგიონები, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნების დიდი ნაწილი. ამჟამად „ლილო მოლის“ საკუთრებას წარმოადგენს 22 ჰექტარზე განლაგებული სავაჭრო კომპლექსი 5000-ზე მეტი სავაჭრო ობიექტით.

### მაგი სტილი
www.magistyle.ge

სამშენებლო დეველოპერული კომპანია „მაგი სტილი“ დაფუძნდა 1995 წელს და წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან კერძო სამშენებლო კომპანიას საქართველოში. კომპანიის სამშენებლო საქმიანობა მიმართულია მყარი და უსაფრთხო შენობა-ნაგებობების შექმნისაკენ, რაც მისი რეპუტაციის გარანტიაა. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა პროექტირება და დაგეგმარება, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი, საბინაო და სამრეწველო მშენებლობა და მართვა, სამშენებლო დეველოპმენტი.

### მგზავრები

**www.mgzavrebi.ge**

შპს „სასტუმროების ქსელი მგზავრები“ დაარსდა 2008 წელს, კომპანიის ბიზნესსაქმიანობას წარმოადგენს საქართველოს კურორტებზე სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა, სასტუმრო აპარტამენტების რეალიზაცია და სასტუმროთა მართვა. მიმდინარე ეტაპამდე კომპანიის მიერ აშენებულია 8 სასტუმრო კორპუსი ბაკურიანში, 3 კორპუსი გონიოში და ერთი ბათუმში, სულ 600-მდე სასტუმრო ტიპის აპარტამენტი. ამჟამად მიმდინარეობს ახალი სასტუმროების მშენებლობა გუდაურში (160 ოთახი), ბაკურიანში (70 ოთახი) და გონიოში (50 ოთახი). კომპანიის მიერ მოზიდული და განხორციელებული ინვესტიცია მიმდინარე პერიოდამდე დაახლოებით 50 მილიონ ლარს შეადგენს. კომპანიის წლიური ბრუნვა დაახლოებით 10 მილიონი ლარია, ხოლო კომპანიის აქტივი 20 მილიონ ლარს უტოლდება. კომპანია ასევე ფლობს შვილობილ საწარმოებს (სოფელ გლდანულაში და ქუთაისში). წარმოების ძირითადი მიმართულებას მოწნული ავეჯის და ხის ავეჯის წარმოება შეადგენს.

### მობიტელი

**www.beeline.ge**

კავშირგაბმულობის ქართული ოპერატორი, შპს „მობიტელი“, კომპანიათა ჯგუფ „ვიმპელკომში“ შედის. შპს „მობიტელი“ ფიჭური კავშირის მომსახურებებს GSM-900/1800 სტანდარტებით აწვდის. 2007 წლიდან კომპანია აქტიურად აფართოებს დაფარვის ზონას, რამაც შესაძლებელი გახადა მეოთხე თაობის მომსახურებების დანერგვისათვის მზად მყოფი, ხარისხიანი თანამედროვე ქსელის შექმნა. „ბილაინი“ თავის აბონენტებს არა მარტო ხელსაყრელ და მოსახერხებელ პროდუქტებსა და მომსახურებებს, არამედ ყველაზე ინოვაციურ ტექნოლოგიებსაც სთავაზობს. 2011 წლის ნოემბერში „ბილაინმა“ საქართველოში პირველად მოახდინა მეოთხე თაობის კავშირის LTE-ს შესაძლებლობების ტესტირება. „ვიმპელკომი“ ემსახურება მთელ მსოფლიოში, დაახლოებით 739 მილიონი ადამიანით დასახლებულ ტერიტორიაზე. 2014 წელს აბონენტების ჯამურმა რიცხვმა შეადგინა 220 მილიონი. „ვიმპელკომის“ აქციები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE) VIP სიმბოლოთი იყიდება.

### ნიკორა

**www.nikora.ge**

17 წლის წინ დაარსებული კომპანია „ნიკორა“ უკვე 500-მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს. „ნიკორას“ ჰოლდინგში ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო ნაწარმისა და ღვინის საწარმოებია. ამასთან, „ნიკორა“ ქართულ ბაზარზე ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელით – 200-ზე მეტი სუპერმარკეტითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ჰოლდინგის მფლობელობაშია „ნუგეშის“, „ლიბრესა“ და „სანდეის“ სავაჭრო ობიექტები. „ნიკორას“ ჰოლდინგშია კომპანია „ინტრეიდიც“, რომელიც ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების იმპორტს ეწევა. ჰოლდინგი ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელიცაა 4000-მდე თანამშრომლით. აღსანიშნავია, რომ „ნიკორა“ უკვე რამდენიმე წელია ფლობს ხარისხის მართვისა და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ISO 9001: 2008; ISO 22000: 2005 – HACCP სერტიფიკატებს.

### ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები

**www.nplaw.ge**

„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ 2005 წელს შეიქმნა და დროის მოკლე პერიოდში კომპანიამ მოწინავე ადგილი დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ინდუსტრიული და კომერციული სექტორების იურიდიული მომსახურების სფეროში. კომპანიის პრაქტიკა დაფუძნებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის მცოდნე პროფესიონალებზე, რომლებმაც კარგად იციან სამართლის დარგების და ბიზნესის თავისებურებები, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო პერსპექტივაში. კომპანიის მიზანს წარმოადგენს კომპანიის ეტაპობრივი ზრდა, მომსახურების სფეროს გაფართოება და კლიენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.





### ორიფლეიმი

**www.ge.oriflame.com**

კომპანია «ორიფლეიმი» შეიქმნა 1967 წ-ს ძმები აფ იოკნიკების და მათი მეგობრის მიერ. დღესდღეობით იგი წარმოადგენს საერთაშორისო კოსმეტიკურ კონცერნს, რომელსაც 60-ზე მეტ ქვეყანაში აქვს საკუთარი წარმომადგენლობა. 2000 წლის 20 ნოემბერს, კომპანიის წარმომადგენლობა ესტუმრა საქართველოს და ოფიციალურად გახსნა „ორიფლეიმ საქართველო“, მაშასადამე კიდევ ერთი ქვეყანა შემატა მისი წარმომადგენელი ქვეყნების დიდ ჯაჭვს. კომპანიის გაყიდვების ყოველწლიური მოცულობა 1.5 მილიარდი ევროა, მთელს მსოფლიოში „ორიფლეიმის“ 3.6 მილიონი კონსულტანტი და 8000 თანამშრომელია, პროდუქციის ასორტიმენტში კი 1000 ერთეულია. „ორიფლეიმი“ – ბავშვთა საერთაშორისო ფონდის თანადამფუძნებელია შვედეთის დედოფალ სილვიასთან ერთად; კომპანია ფლობს 5 საკუთარ ფაბრიკას შვედეთში, პოლონეთში, ჩინეთში, რუსეთსა და ინდოეთში; ორიფლეიმის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 100-მდე მეცნიერი და ექსპერტი მუშაობს; კომპანიის აქციებს ფლობს Nasdaq OMX-ის საფონდო ბირჟაზე 2004 წლის მარტიდან, ორიფლეიმის წარმომადგენლობა არის 60-ზე მეტ ქვეყანაში, 11 მათგანში – ფრანჩაიზინგით.

### პე ეს პე ჯგუფი

**www.psp.ge**

„პე ეს პე“ 20 წელზე მეტია, ფუნქციონირებს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. „პე ეს პე“-ში პრიორიტეტული მიმართულებებია მედიკამენტების წარმოება ფარმაცევტული საწარმო GMP-ის ბაზაზე, ლიდერობა ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტი, დისიტრიბუციის, სააფთიაქო ქსელის, საავადმყოფოების ქსელის და სადაზღვევო სექტორის განვითარება. „პე ეს პე“ ერთადერთი ფარმაცევტული კომპანიაა საქართველოში, რომელსაც აქვს საერთაშორისო სტანდარტის, თანამედროვე, ინოვაციური ფარმაცევტული საწარმო კავკასიაში – GMP (www.gmp.ge) „პე ეს პე“-ს ფარმაცევტულმა საწარმომ მოიპოვა ევროგაერთიანების, „ჯი ემ პი“-ს სათანადო წარმოების პრაქტიკის GMP (Good Manufacturing Practice) სერთიფიკატი, ე.წ. GMP EU სერთიფიკატი რომელიც წარმოადგენს ევროკავშირში არსებული ფარმაცევტული წარმოების ლიცენზიას – გარანტირებული ხარისხის მედიკამენტების წარმოების დოკუმენტს. „პე ეს პე“-ს აქვს საკუთარი სააფთიაქო ქსელი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს დაბალ ფასებში, კვალიფიციური ფარმაცევტების მომსახურებას და ამ დროისთვის აერთიანებს 160-ზე მეტ აფთიაქს, მთელი საქართველოს მასშტაბით. გერმანულმა სასერტიფიკაციო ორგანიზაციამ „TUV-Reinland/Berlin-Brndeburg Group“-მა „პე ეს პე“-ს სააფთიაქო ქსელს მიანიჭა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (International Organization for Standardization) სერთიფიკატი ISO 9001:2000.

### პეტროკას ენერჯი ჯგუფი

**www.petrocasenergy.com**

Petrocas Energy Group-ი წარმოადგენს მულტიფუნქციურ ჰოლდინგს, რომელიც დაკავებულია ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებით კასპიის რეგიონში, შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ჯგუფი ახორციელებს თრეიდინგს, ფორვარდინგსა და ნავთობპროდუქტებისა და ქიმიური პროდუქტების შენახვას ფოთის ტერმინალში, რომელთა ტრანსპორტირება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით ხდება. ჯგუფი ასევე ფლობს საქართველოში ბენზინგასამართი სადგურების ყველაზე დიდ ქსელს, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ბრენდის – „გალფის“ სახელით ოპერირებს.

### რაკია
**www.rak-ia.com**

რას ალ ხაიმას საემიროს საინვესტიციო ჯგუფი საქართველოში ოფიციალურად დაფუძნდა 2007 წლის 30 ნოემბერს. როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი, იგი წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვან სექტორში. ჯგუფის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან და სხვებთან ერთად აღსანიშნავია „თბილისი მოლი“. დღეისთვის ჯგუფის პრიორიტეტს წარმოადგენს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და არსებული სასტუმრო ბიზნესის განვითარება. ასევე, ისეთ ახალ ინდუსტრიებში ინვესტირება, როგორიცაა ენერგეტიკა, ლოგისტიკა და სხვა. რას ალ ხაიმას საემიროს საინვესტიციო ჯგუფმა, მათ მიერ უკვე განხორციელებულ და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაასაქმა ათასობით ადამიანი. დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ჯგუფში შემავალი შემდეგი კომპანიები: „რაკია საქართველო“, „რაკიინ დეველოპმენტ საქართველო“, „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“, „რაკ საქართველო – ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“.

### რედიქსი
**www.redix.ge**

კომპანია „რედიქსი“ 2007 წელს დაარსდა და მისი საქმიანობის ძირითადი სფერო უძრავი ქონების და ინვესტიციების მართვაა. მთელი საქართველოს მასშტაბით „რედიქსი“ აერთიანებს 35 მსხვილ და საშუალო ზომის, სხვადასხვა ტიპის პროექტს. ჯგუფში დასაქმებულია 300-ზე მეტი ადამიანი. კომპანიის მართვაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება 150 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. 2013 წლის მონაცემებით, „რედიქს“ ჯგუფმა გადასახადების სახით საქართველოს ბიუჯეტში 3 მილიონ ლარამდე გადაიხადა.

### სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები
**www.sante.ge**

შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ რძის პროდუქტებისა და წვენების უმსხვილესი მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანიაა საქართველოში 1997 წლიდან. აშშ-ს სამთავრობო სააგენტო „ოპიკის“ მხარდაჭერით, განხორციელდა ძველი საბჭოთა ქარხნის გადაიარაღება თანამედროვე რძის მწარმოებელ საწარმოდ, რომელიც ოპერირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. გასული 15 წლის მანძილზე „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებმა“ შეძლო ჩაენაცვლებინა წლების მანძილზე კუსტარულად წარმოებულ რძის პროდუქტებზე არსებული მოთხოვნა და შეექმნა სრულიად ახალი ბაზარი ქარხნულად წარმოებული რძის პროდუქტებისთვის. ამჟამად, „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ მომხმარებელს 5 ბრენდსა და 120-მდე დასახელების პროდუქტს სთავაზობს. დღეისათვის, „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ ბაზრის ლიდერია რძის მიღებასა და გადამუშავებაში. „ოპიკის“ დახმარებით „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებმა“ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განავითარა რეგიონებში ნატურალური რძის შეგროვების ინფრასტრუქტურა, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას მცირე საოჯახო მეურნეობებისგან ყოველდღიურად ჩაიბაროს და აწარმოოს ქართული ნატურალური რძისგან დამზადებული მაღალხარისხიანი პროდუქტი. 2015 წელს „ოპიკმა“დააჯილდოვა „სანტე ჯი-ემ- თი პროდუქტები“ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში მის მიერ შეტანილი წვლილისთვის.





### საქართველოს ბანკი
**www.bog.ge**

„საქართველოს ბანკი“ საქართველოში ლიდერი ბანკია ერთ-მესამედზე მეტი მოცულობის ბაზრის წილით აქტივების, სესხების, დეპოზიტების მიმართულებით. ბანკი მომხმარებლებს საცალო საბანკო, კორპორატიულ საბანკო, ქონების მართვის, საბროკერო და სადაზღვევო სერვისების ფართო სპექტრს სთავაზობს. ბანკს საქართველოში 164 ფილიალი აქვს, რომლებიც მოიცავს სრული მომსახურების ფილიალებს, სერვისცენტრებს და მცირე ზომის მომსახურების წერტილებს. ქვეყანაში ბანკომატების უდიდესი ქსელი მოიცავს 431 აპარატს, ასევე 104 თვითმომსახურების ტერმინალს. ბანკს ასევე აქვს დისტანციური საბანკო მომსახურების სრული სერვისი და თანამედროვე ქოლ-ცენტრი. ბანკის სტრატეგიის მთავარი ელემენტებია საქართველოს განვითარებად საბანკო ბაზარზე ლიდერის პოზიციის და მომგებიანი ზრდის შენარჩუნება, აქტივების ხარისხის შენარჩუნების პირობებში სესხის პორტფელის ზრდა, ასევე, ქართული სადაზღვევო, ჯანდაცვისა და ხელმისაწვდომი საბინაო ბაზრების სინერგიული ზრდა. საქართველოს ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითად ბაზარზე ივაჭრება. ბანკს მინიჭებული აქვს რეიტინგი სამივე გლობალური სარეიტინგო სააგენტოსგან: Standard& Poor's 'BB-/B', FitchRatings 'BB-/B', Moody's 'B1/NP' (FC) & 'Ba3/NP' (LC).

### საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
**www.gig.ge**

20 წლიანი გამოცდილების მქონე „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჰოლდინგია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები), ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. 2006 წელს, ქართულ ბაზარზე 20 წლიანი ბიზნეს საქმიანობის გამოცდილების მქონე კომპანიამ, ჰოლდინგის სახე მიიღო. GIG საქართველოში ერთადერთი ნახშირის მწარმოებელი კომპანიაა და ამასთანავე ქვეყნისათვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ნახშირის ისეთ აქტივებს ფლობს, როგორებიცაა ტყიბული-შაორის და ვალეს საბადოები. ნახშირის მოპოვების ბიზნესში კომპანია წარმოდგენილია შ.პ.ს „საქნახშირის“ სახით.“ მოპოვებული ნახშირის დიდი წილი გრძელვადიანი კონტრაქტებით (1 წელი ან მეტი) ადგილობრივ მომხმარებლებზე იყიდება. გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანია გეგმავს გაზარდოს მოპოვების მოცულობა 1.5 მილონ ტონამდე წლიურად, რათა მოახერხოს მზარდი ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ასევე დაიწყოს ექსპორტირება.

### საქართველოს რკინიგზა
**www.railway.ge**

„საქართველოს რკინიგზა“ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო. 1872 წლის 10 ოქტომბერს თბილისიდან ფოთში პირველი მატარებელი ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება საქართველოს რკინიგზის „დაბადების დღედ“. ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი საქართველოს გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ შეიტანა. ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის პროცესში საქართველოს რთულმა გეოგრაფიულმა რელიეფმა მრავალი ხელოვნური საინჟინრო ნაგებობის მშენებლობა განაპირობა, რომელთა რიცხვი 3700 აღემატება. „საქართველოს რკინიგზის“ საერთო სიგრძე 2344, 2 კილომეტრია. 2012 წლის 12 აპრილს შპს „საქართველოს რკინიგზა“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

## საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი

www.ghg.com.ge

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი არის ყველაზე დიდი ჯანდაცვის კომპანია საქართველოში, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სწრაფად მზარდ ბაზარზე ოპერირებს. კომპანია გამორჩეულია სერვისების მრავაფეროვნებითა და საქართველოსთვის უნიკალური, კლასტერული ბიზნეს მოდელით, რომელიც იძლევა რეფერირების საშუალებას და უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისების მიწოდების უკეთეს ხარისხს. საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი, „ევექსის“ ბრენდის სახელით მართავს 41 სამედიცინო დაწესებულებას, მათ შორის 35 საავადმყოფოსა და 6 ამბულატორიულ კლინიკას, იგი ფართო გეოგრაფიული დაფარვითა და დივერსიფიცირებული ჯანდაცვის მომსახურების ქსელით საქართველოს მოსახლეობის 2/3-ს ემსახურება. კომპანიის მიერ მიწოდებული სერვისები მოიცავს ბაზისურ სამედიცინო სერვისებს, ამბულატორიულ მომსახურებასა და მრავალპროფილურ ჰოსპიტალურ სერვისებს. სამედიცინო სერვისებთან ერთად, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის სამოქმედო სფეროს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც „იმედი ელ“-ის ბრენდის სახელით ოპერირებს.

## სილქნეტი

www.silknet.com

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე „სილქნეტი“ ახალი კომპანიაა, რომელიც დაარსდა 2010 წლის 12 მარტს. კომპანია მომხმარებელს აწვდის სრულ საკომუნიკაციო სერვისს ქვეყნის მასშტაბით (ტელეფონი, ინტერნეტი, ტელევიზია). კომპანიის მიზანი სატელეკომუნიკაციო სივრცეში ლიდერის პოზიციის დამკვიდრებაა, რის მიღწევასაც მომხმარებლის ინტერესებზე მაქსიმალური ორიენტირებით, ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებით, ახალი მომსახურების დანერგვით და ბაზრის წილისა და მომგებიანობის გაზრდით მიაღწევს. კომპანიის პრიორიტეტებია: მომხმარებელზე მაქსიმალური ორიენტაცია, მომსახურების მაღალი ხარისხი, ინოვაციური და მრავალფეროვანი პროდუქტების მუდმივი მიწოდება, კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა.

## სილქროუდ ჯგუფი

www.silkroad.ge

ჰოლდინგი „სილქროუდი“ დაარსებულია მასში შემავალი კომპანიების ინტერესების კონსოლიდირებისათვის. აღნიშნული ინტერესები მოიცავს ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტირების და სავაჭრო სფეროებს, საკვები პროდუქციის ბაზარს, უძრავ ქონებას, ფინანსურ მომსახურებას, ინვესტიციებს და კორპორატიულ სერვისებს.



ჩვენი წევრები

## სოკარი

www.socar.ge

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ საქართველოს ნავთობის საცალო და საბითუმო ბაზარზე 2006 წელს შემოვიდა. მისი ძირითადი საქმიანობა ნავთობპროდუქტებისა და თხევადი გაზის იმპორტს, ნავთობტერმინალებისა და რეზერვუარების მშენებლობას მოიცავს. დაარსებისთანავე კომპანიამ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ლიდერის პოზიცია დაიკავა. საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე და ბუნებრივი გაზის სექტორში შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“-მ დააარსა ორი შვილობილი კომპანია: შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ 2006 წლის სექტემბრიდან ჩართულია საქართველოს ნავთობპროდუქტების სექტორში. კომპანიის ყოველთვიური ბრუნვა ათობით მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. იგი წარმატებით ახორციელებს მაღალი ხარისხის ნავთობპროდუქტების იმპორტსა და რეალიზაციას. 2008 წლიდან შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ დაიწყო საცალო ქსელის განვითარება. ამ დროისათვის საქართველოს მასშტაბით კომპანია ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ 113 ავტოგასამართ სადგურს, რომელიც მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 1500-ზე მეტი ადამიანი. ბუნებრივი გაზის ბაზრის სექტორზე ადგილის დამკვიდრების მიზნით, 2007 წლის ივნისში შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიამ“ დაარსა შვილობილი კომპანია, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“. შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ მოიგო ეკონომიკური განვითარების სამინისტორს მიერ გამოცხადებული კონკურსი „სახელმწიფო საკუთრებში არსებული გაზგამანაწილებელი კომპანიების პრივატიზების შესახებ“. შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა საქართველოს 30 რეგიონის გაზიფიცირების ფართომასშტაბიანი პროექტი. დღეისათვის „სოკარ ჯორჯია გაზი“ ახორციელებს გაზის დისტრიბუციას საქართველოს 44 რაიონში და 386,000 აბონენტს უწევს მომსახურეობას. კომპანიაში დასაქმებულია 2000-მდე ადამიანი, მოიჯარეთ მომუშავე კომპანიებში კი რამოდენიმე ათასი ადამიანი.

## ფუდმარტი

www.foodmart.ge

საცალო სავაჭრო ქსელი „ფუდმარტი“ დაარსდა 2013 წელს. დღეისთვის ბაზარზე ქსელი წარმოდგენილია 3 ბრენდით – „ფუდმარტი“, „იოლი გასტრონომია“ და „სპარი“. სავაჭრო ობიექტების რაოდენობა ჯამში 49 ერთეულია და სამივე ბრენდი საქართველოს მსხვილ რეგიონალურ ცენტრებში ოპერირებს – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. 2014 წლის ივნისში „ფუდმარტმა“ მოაწერა ლიცენზირების ხელშეკრულებას „სპარ ინთერნეშინალთან“ საქართველოს მასშტაბით არსებული „ფუდმარტისა“ და „იოლის“ ყველა მაღაზიის რებრენდინგზე. „სპარ ინთერნეშინალი“ მსოფლიოს უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელია 13,800 მეტი მაღაზიით 38 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. მაღაზიების ფართო ქსელთან ერთად კომპანია „ფუდმარტი“ ფლობს ულტრათანამედროვე აღჭურვილობის მქონე საწარმოს, რომელიც 24 საათიან რეჟიმში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ამარაგებს როგორც საკუთარ, ასევე პარტნიორი სავაჭრო ობიექტებსა საკუთარი წარმოების მზა საკვები პროდუქტებით, საკონდიტრო ნაწარმითა და პურ-ფუნთუშეულით. ჯგუფში 1900-მდე ადამიანია დასაქმებული, რომელთა რიცხვიც ქსელის გაფართოებისა და კომპანიის განვითარების პარალელურად მუდმივად იზრდება.

### ქართული ლუდის კომპანია

www.geobeer.ge

„ქართული ლუდის კომპანია“ დაარსდა 2011 წელს. ლუდსახარში აღჭურვილია თანამედროვე ევროპული დანადგარებითა და ტექნოლოგიებით. 2012 წლის 4 აპრილს კომპანიამ ბაზარს წარუდგინა ლუდისა და ლიმონათის ახალი ქართული ბრენდი „ზედაზენი“, რომელმაც პირველივე წელს მოიპოვა ლიდერის პოზიცია. გახსნიდან ერთ თვეში ზედაზენმა მიიღო ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO 9000, რომელსაც მოჰყვა სურსათის უვნებლობის მართვის სერტიფიკატის ISO 22000-ის მიღება. გარდა ამისა, კომპანიამ მონაწილეობდა გამოფენებში, მიაღწია საერთაშორისო აღიარებას და მოიპოვა წლის საუკეთესო პროდუქტის სტატუსი. ამ მიღწევებმა განაპირობა საექსპორტო ბაზრის მნიშვნელოვანი გაფართოება. 2012 წლის ბოლოს სააქციო საზოგადოება გახდა უმსხვილესი გერმანული ჯგუფის „Bitburger Braugruppe“-ს პარტნიორი და მოიპოვა ლიცენზია, ეწარმოებინა პრემიუმ კლასის ბრენდი „Konig Pilsner“. 2013 წელს კომპანიამ ბაზარზე წარადგინა მთის ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული ლუდი „ხევსურული“, პირველი ქართული ენერგეტიკული სასმელი „Wilder“ და დიეტური ლიმონათის სხვადასხვა სახეობა. დღეისათვის კომპანია საქართველოს ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბაზრის მესამედის მფლობელია.

### შარმ ტრეიდინგი

www.sharm.ge

კომპანია „შარმ ტრეიდინგი“ წამყვანი სადისტრიბუციო კომპანიაა საქართველოში, რომელიც დაარსების დღიდან ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს. კომპანია დაარსდა 1998 წელს. მცირე რესურსების მიუხედავად ახალგაზრდა და მონდომებულმა გუნდმა საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია. პარტნიორთა უდიდესი ნდობისა და წარმატებული საქმიანობის შედეგად, „შარმ ტრეიდინგი“ გახდა მსოფილიოს წამყვანი ბრენდების ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოსა და სომხეთში. დღეს კომპანია დისტრიბუციას უწევს ისეთ პოპულარულ ბრენდებს, როგორებიცაა: Unilever, Henkel, Schwarzkopf&Henkel, Eczacibasi, Tchibo და სხვა. ამიერკავკასიის ბაზარზე კომპანიამ თავის მოღვაწეობის პერიოდში არაერთხელ დაამტკიცა პროფესიონალურად მუშაობის უნარი და სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობა, რამაც უზრუნველყო პარტნიორებთან გრძელვადიანი და მჭიდრო ურთიერთობა. „შარმ ტრეიდინგ“-ში მთელი საქართველოს მასშტაბით დასაქმებულია 600-მდე თანამშრომელი, ხოლო კავკასიის მასშტაბით – 1000; კომპანიის მიზანია, სამომხმარებლო ქსელის მსოფლიოს ბრენდების პროდუქციით მომარაგება, კვალიფიციური დისტრიბუცია, როგორც სავაჭრო ისე არა სავაჭრო ობიექტებთან და სალონებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით.

### ცოდნის ფონდი

„ცოდნის ფონდი“ არის არასამეწარმეო არაკომერციული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2007 წელს კახა ბენდუქიძის მიერ. „ცოდნის ფონდი“ საქართველოში ყველაზე დიდი საგანმანათლებლო საქველმოქმედო ფონდია. „ცოდნის ფონდი“ არის საქართველოს ორი წამყვანი უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დამფუძნებელი. ფონდის მიზანია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარება საქართველოში. ამ მიზნით ფონდი ახორციელებს ინვესტიციას საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაში, კვლევასა და განათლებაში. გარდა ამისა ფონდი ხელს უწყობს ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას სასწავლო სტიპენდიების გზით. 2007 წლის შემდეგ „ცოდნის ფონდმა“ უმაღლესი განათლების სფეროში 50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია მოახდინა, რაც საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებული უპრეცედენტო მოცულობის კერძო ინვესტიციაა.



ჩვენი წევრები

### ჯეოსთილი

www.geosteel.com.ge

„ჯეოსთილი“ ინდუსტრიის სფეროში ერთ-ერთი უდიდესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა საქართველოში. იგი JSW Steel Netherlants BV და Georgian Steel Group Holding-ის ერთობლივ საწარმოს წარმოადგენს. „ჯეოსთილი“ ISO 9001:2008 სერტიფიცირებული კომპანიაა, იგი მიმართულია მომხმარებლის კმაყოფილების უზრუნველყოფაზე და მიისწრაფვის ხარისხის მაღალი სტანდარტების მიღწევისკენ. საწარმოს ტერიტორია მოიცავს 13 ჰა-ზე მეტ ფართობს. იგი ქალაქ რუსთავის ცენტრში მდებარეობს. კომპანია თავის მომხმარებელს ემსახურება სამუშაო ძალით, რომლის შემადგენლობაში 110 პროფესიონალი და 375 დამხმარე თანამშრომლი შედის. შპს „ჯეოსთილი“-ს წარმადობა წელიწადში 200,000 ტონა თხევად ფოლადს შეადგენს.

### ჯეოსტარი

„ჯეოსტარი“ დაფუძნდა 2004 წელს ქართული კაპიტალით. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სამომხმარებლო პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია. სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, სადაც კომპანიას გააჩნია საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კომპანია ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით და მასში დასაქმებულია 200-მდე ადამიანი. „ჯეოსტარი“ ისეთი ბრენდების ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში, როგორებიცაა: Nivea, Aquafresh, BIC, Papia, Molped, Molfix, Bingo, Bonduelle, PastaZara, Avedov, Pompea, Sisi, Glamour და სხვა.

### ჯიდი ჯგუფი

www.whiskyhouse.ge

„GD Group“ და აფილირებული კომპანიები „გდ ალკო“, „International Brands Network“, „ქართული სადისტრიბუციო მარკეტინგული კომპანია“ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სურსათის სადისტრიბუციო კომპანიებია, რომელთაც ქვეყნის მაშტაბით სურსათის დისტრიბუციის საბითუმო ბაზარზე წამყვანი პოზიციები უკავიათ. „გდ ალკოს“ გააჩნია საკუთარი პრემიალური ალკოჰოლური სასმელის მაღაზიათა ქსელი „ვისკის სახლი“ და ასევე, ავითარებს ახალ ქსელს „ალკორიუმს“, რომელიც გათვლილია მომხმარებლის უფრო ფართო კატეგორიაზე. ჯგუფში შემავალი კომპანია შპს „GDG“ წარმოადგენს რეგიონალურ ლიდერს პრემიალური ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობაში და ასრულებს სავაჭრო-ლოგისტიკური ჰაბის ფუნქციას ამიერკავკასიის და შუა აზიის ქვეყნებისთვის, კომპანიის საკუთრებაშია ასევე საბაჟო საწყობი. კომპანიებში მუდმივად მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების და სისტემების დანერგვა და ისინი წარმოადგენენ სანდო და გრძელვადიან პარტნიორებს, როგორც ქართული, ასევე, მრავალი საერთაშორისო კომპანიისთვის.

### ჯი ეი ეი მენეჯმენტი

www.gaalloys.com

„ჯი ეი ეი მენეჯმენტი“ და „ჯორჯიან მანგანეზი“ მოიცავს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნას, ჭიათურის სამთო გამამდიდრებელ კომბინატს და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურს. იგი უდიდესი ექსპორტიორი კომპანიაა საქართველოში, რომელსაც ყავს 6500-მდე თანაშრომელი.

### ჯი პი აი ჰოლდინგი

www.gpih.ge

„ჯი პი აი ჰოლდინგი“ დაარსდა 2001 წელის როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში. კომპანიისთვის თავიდანვე პრიორიტეტად იქცა საქართველოში ე.წ. სოციალური დაზღვევის: ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევის პოპულარიზება და გავითარება. ამ მიმართულებას „ჯი პი აი ჰოლდინგი“ დღესაც აქტიურად ავითარებს. 2006 წლიდან „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის, „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ წევრი გახდა. საქართველოში პირველად მსგავსი დონისა და რეიტინგის უცხოური კომპანია ადგილობრივი კომპანიის აქციონერი გახდა. 2013 წლის მონაცემებით „ჯი პი აი ჰოლდინგი“ სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია და მის 23%-ს ფლობს. კომპანიას უკვე 240 000-მდე დაზღვეული ჰყავს ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით, რომლებსაც 12 საავადმყოფო ემსახურება 12 რეგიონში. „ჯიპიაი ჰოლდინგი“ გამოირჩევა ინოვაციური გადაწყვეტილებებით და მრავალ სიახლეს სთავაზობს თავის მომხმარებელს. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ უკვე ოთხჯერ შეძლო საუკეთესო კომპანიის სტატუსის მოპოვება და დაჯილდოვდა ოქროს ბრენდის ნომინაციაში როგორც რჩეული სადაზღვევო კომპანია.

### ჯიპისი

www.gpc.ge

1996 წლიდან „ჯიპისი“ აქტიურად მონაწილეობს ცნობილი უცხოური კომპანიების საქართველოში დამკვიდრების საქმეში – კომპანიის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა დასავლეთის ქვეყნებში წარმოებული მაღალი ხარისხის მედიკამენტებისა და ფარმაცევტულ სფეროში მომსახურების ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება საქართველოს ბაზარზე. „ჯიპისი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიაა საქართველოში. კომპანია წარმატებით თანამშრომლობს ოცდაათზე მეტ წამყვან უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიასთან, როგორებიცაა: Pfizer, MSD, Aventis, Pasteur, Solvay, Befour-Ipsen, Ratiopharm, Pliva და სხვა. კომპანიის მიერ იმპორტირებული პროდუქცია მოიცავს ბავშვის მოვლის საგნებს, კოსმეტიკას, ჰიგიენური მოვლის საშუალებებს. 2013 წლისთვის ამ დროისათვის ქვეყნის მასშტაბით 100-მდე აფთიაქია და კომპანია ჯიპისიში დასაქმებულია 1500 თანამშრომელზე მეტი.

### 4 ფინანსი

www.vivus.ge

vivus.ge ჯგუფი „4ფინანსი“-ს (4 Finance) გლობალური ბრენდია. კომპანია წამყვან პოზიციაზე იმყოფება ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, ფინეთში, დანიაში და შვედეთში. კომპანიამ 2012 წელს წარმატებით დაიწყო ფუნქციონირება რუსეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და კანადაში. ხოლო 2013 წელს სერვისი ხელმისაწვდომი გახდა ჩეხეთისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის. 4 Finance ლატვიური სააქციო საზოგადოებაა, რომელიც დაარსდა 2008 წელს და ძალიან სწრაფად მიაღწია დიდ წარმატებას მსოფლიო მაშტაბით. კომპანიის ბიზნეს სფეროა სწრაფი, მოკლევადიანი არასაბანკო სესხები.
















საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
მხარს უჭერს სოლიდარობის ფონდს

www.solidaroba.ge

BAG

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

**www.bag.ge**

**www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia/**